ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge
facebook.com/
Akhali Ganatleba

№7 (921) გამოდის 1998 წლიდან

11-17.03.2021

2

ლალი ჯელაძე

როგორ დაბრუნდებიან სტუდენტები აუდიტორიებში და როლის გვექნება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი

ინტერვიუ ნუნუ მიცკევიჩთან

5

ანა ფირცხალაიშვილი

გამოცდილება და თანამედროვე ცოდნა საუკეთესო კომბინაციაა ხარისხის უზრუნველყოფისთვის

ინტერვიუ თამარ ქიტიაშვილთან

სტუდენტთა მილების გაზრდილი მაჩვენებელი კურსდამთავრებულთა ულების ფონზე

უმაღლესი განათლება

როგორ დაბრუნდებიან სტუდენტები აუდიტორიებში და როდის გვექნება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი

ინტერვიუ ნუნუ მიცკევიჩთან

რა რეკომენდაციების გათვალისწინება მოუწევთ უმაღლეს სასწავლებლებს სასწავლო პროცესის აუდიტორიებში გასაახლებლად და რატომ განისაზღვრა დაბრუნების პროცესი ორ ეტაპად – დეტალებზე გვესაუბრება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი. ინტერვიუში ასევე გაიგებთ პასუხებს, რა საშელავათო პოლიტიკას ახორციელებს სამინისტრო სტატუს შეჩერებული სტუდენტების მიმართ, რას ეფუძნება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი და უნდა ველოდოთ თუ არა უახლოეს პერიოდში სახეცვლილ ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

აუდიტორიებში დაბრუნება

სწავლის დასაწყებად განისაზღვრა ორი თარიღი – 1 და 15 მარტი. პირველ რიგში, სწავლის გახსნისთვის აუცილებელია თვითონ უმაღლესი სასწავლებლების სივრცე მომზადდეს, უსაფრთხოების თვალსაზრისით, იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც გაზაფხულზე, ლოქდაუნის დროს იყო. ამ მხრივ ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე, უსაფრთხოების თვალსაზრისით, მზად იყო სტუდენტების მისაღებად, მაგრამ ქვეყნის ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, გადადების მაჩვენებელი და თვითონ ინფექციის გავრცელების მაჩვენებელი არ გვაძლევდა საშუალებას, რომ უნივერსიტეტებში სწავლა პირისპირ გაგვეახლებინა. მობილობის მაჩვენებელს გავლენა არ უნდა მოეხდინა ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე. ამიტომ ეს არ იყო მხოლოდ ერთი უწყების მიერ მისაღები გადაწყვეტილება. რაც შეეხება ახლანდელ გადაწყვეტილებას უმაღლესების გახსნის შესახებ, მიღებულია საკოორდინაციო საბჭოს მიერ, უწყებათაშორისი შეთანხმების საფუძველზე და თანხვედრაშია, ქვეყნის მასშტაბით, ტრანსპორტის დაშვებასთანაც. უმაღლეს განათლებას, სკოლისგან განსხვავებით, თავისი სპეციფიკა აქვს, მისი ტერიტორიული მოწყობა არ არის ისეთი, როგორც სკოლების. მოსწავლეებს უახლოეს სკოლებზე აქვთ ხელმისაწვდომობა, უმაღლესი სასწავლებლების განლაგება კი სხვაგვარია. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში, ქუთაისში, თელავსა და სხვა რეგიონულ ქალაქებში გვაქვს უნივერსიტეტი, იქ მცხოვრები ახალგაზრდა შეიძლება თბილისში სწავლობდეს და ა.შ. ამიტომაც ვიყავით პირდაპირ მიბმული საქალაქთაშორისო ტრანსპორტის აღდგენაზე. როგორც კი შემსუბუქდა სიტუაცია და აღდგა ტრანსპორტი, უნივერსიტეტებს გახსნის უფლება მივეცით. პირველი მარტიდან პირისპირ სწავლების შესაძლებლობით გაიხსნა უნივერსიტეტები სწავლების იმ კომპონენტით, რომლის განხორციელებაც დისტანციურ რეჟიმში განსაკუთრებულად რთულად ხორციელდებოდა. ასეთია მედიცინის პროგრამების კლინიკური კომპონენტი და მთლიანობაში პრაქტიკულ-ლაბორატორიული კომპონენტი; ასევე, სახელოვნებო მიმართულებები – სახელოვნებო-შემოქმედებითი პროგრამები, როგორიც გვაქვს სამხატვრო აკადემიაში, თეატრალურსა და კონსერვატორიაში. ასე რომ, პროგრამები, რომელთა განხორციელება დისტანციურად პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, 1 მარტიდან გაიხსნა.

რაც შეეხება მეორე ეტაპს – 15 მარტს – ეს თარიღი განისაზღვრა სტუდენტებისა და მათი ოჯახების ხელშეწყობის მიზნით. მოგეხსენებათ, მხოლოდ ტრანსპორტის აღდგენა არ არის საკმარისი სწავლის აღსადგენად, რადგან ყველანი ვთანხმდებით, რომ სამწუხაროდ, ქვეყნის მასშტაბით, ისედაც მძიმე სოციალური ფონი ეპიდემიამ კიდევ უფრო დაამძიმა. სტუდენტებმა რეგიონებიდან და სოფლებიდან, ქალაქში ჩამოსასვლელად, საცხოვრებელი პირობები უნდა მოიწყონ – ეს დაკავშირებულია ბინების დაქირავებასთან. ამიტომ უნივერსიტეტებს საშუალება მივეცით, მინიმუმ, ორი კვირით ადრე გაუგზავნონ ცხრილი და სრული ინფორმაცია, რომელ პროგრამას განახორციელებენ დისტანციურ რეჟიმში და რომელს – აუდიტორიაში, რომ სტუდენტებმა შეძლონ ბინის ქირაობა.

რაც შეეხება უნივერსიტეტების მიერ სწავლების ფორმის ნებაყოფლობით არჩევას, ეს პირდაპირ უკავშირდება მათ ავტონომიურობას, კონსტიტუციურ უფლებას, სწორი თვითშეფასების საფუძველზე, გადაწყვიტონ, რამდენად არის მზად საუნივერსიტეტო სივრცეები იმისთვის, რომ სწავლა აუდიტორიებში განაახლონ ან რა კომპონენტი დატოვონ დისტანციურ რეჟიმში. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია, უმაღლესებმა სწორად შეაფასონ რამდენად ხარისხიანი იქნება ე.წ. ჰიბრიდული სწავლება. ბუნებრივია, ჩვენ ვენდობით უმაღლესების გადაწყვეტილებებს. 15 მარტამდე უმაღლესები წარმოადგენენ ცხრილებს და დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი სასწავლო კორპუსი იხსნება, რომელი პროგრამები განხორციელდება დისტანციურად ან პირისპირ. ამის შემდეგ, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების წარმომადგენლების ერთობლივი კომისია განახორციელებს, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, კომპლექსურ მონიტორინგს, რათა დავრწმუნდეთ მათი არჩევანის სისწორეში.

უმაღლესებზე წერტილოვანი შეზღუდვები არ გავრცელდება

წერტილოვან შეზღუდვებთან დაკავშირებით გეტყვით, რომ თითოეული შემთხვევის შესახებ ვიქნებით ინფორმირებული და კონსულტაციას გავივლით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრთან. არ ვფიქრობთ, რომ დახურვებზე წავალთ. კონკრეტულ შემთხვევებზე კი სათანადო რეაგირება იქნება – ადგილების დეზინფიცირება/დამუშავება, ჯანდაცვის ცენტრის რეკომენდაციების მიხედვით, შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება, რაც იმ მომენტისთვის გახდება საჭირო. დახურვის მიმართ კი, ვიქნებით ძალიან ფრთხილები, მაქსიმალურად ვეცდებით, პრევენციით შევამციროთ რისკები, ასევე ვეცდებით, რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებს არ შევუქმნათ პრობლემები, ჯერ ჩამოვიყვანოთ და შემდეგ გამოვუცხადოთ, რომ ონლაინ რეჟიმზე გადავდივართ.

დისტანციური სწავლების ხარვეზები

თითქმის ყველა ოჯახშია სკოლის მოსწავლე ან სტუდენტი, ან ორივე ერთად, ასევე, ბევრ ოჯახში გვყავს მასწავლებელი. ამის გათვალისწინებით, დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნიკით ყველა ოჯახი სრულყოფილად აღჭურვილი ვერ იქნებოდა. ჩვენც ბევრი სტუდენტი გვირეკავდა მსგავსი პრობლემით და ითხოვდა დახმარებას. უნივერსიტეტებს სხვადასხვაგვარი მიდგომები ჰქონდათ. თუმცა, პირველი რეკომენდაცია, რაც სამინისტროსგან გაიცა და ბევრმა უმაღლესმა გაიზიარა, იყო ის, რომ მათთვის ინდივიდუალური ცხრილები შემუშავებულიყო გამოტოვებული მასალის ინტენსიური აღდგენებისთვის პირისპირ რეჟიმში.

გაზაფხულზე, გახსნის შემდეგ, უნივერსიტეტებმა სწავლის მიღმა დარჩენილი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური ცხრილები მოამზადეს და ის კომპონენტი ჩაუტარეს, რაც მათ გამოტოვეს. თუმცა, ამისთვის სტუდენტს თვითონ უნდა მიემართა უნივერსიტეტისთვის განცხადებით. მაგალითად, ქუთაისის წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ასეთი წარმატებული მიდგომა განახორციელა – სტუდენტებს, რომლებსაც არ ჰქონდათ ინტერნეტთან და ტექნიკასთან წვდომა, გაზაფხულზე, ინდივიდუალური გრაფიკით შეუვსო ეს დანაკლისი. უნივერსიტეტების ნაწილმა სხვა გზა აირჩია. მაგალითად, საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა კომპიუტერები შეისყიდა და იმ სტუდენტებს დაურიგა, ვისაც ამის საჭიროება ჰქონდა; ზოგიერთმა უნივერსიტეტმა პროფესორ-მასწავლებლებს შეუძინა კომპიუტერები. სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, პანდემიის გამოცხადებისთანავე, შეისყიდა დიდი რაოდენობით ტექნიკა და პროფესორ-მასწავლებლებს მიაწოდა. ასე რომ, ყველა უნივერსიტეტმა, საჭიროებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური მიდგომა აირჩია და მართლა მაქსიმუმი გააკეთა იმისათვის, რომ სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლის ხელმისაწვდომობა ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

თუმცა, გვყავდა ისეთი სტუდენტებიც, რომლებმაც თავიდანვე განაცხადეს, რომ მათთვის მისაღები არ იყო ონლაინ სწავლება, საერთოდ დისტანციური სწავლება. ეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, უცხოეთის პრაქტიკაშიც ხდება. ამ სტუდენტებმა თავიდანვე არ გაიარეს რეგისტრაცია, უარი თქვეს სემესტრის გააქტიურებაზე და აკადემიური სემესტრი აიღეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ სწავლაზე ხელმისაწვდომობა არ ჰქონდათ და ამიტომ თქვეს უარი. უბრალოდ, არ მოსწონდათ ონლაინ სწავლება და თვლიდნენ, რომ ის საფასური, რომელსაც იხდიდნენ, არ იყო სწავლის ამ ფორმატის ადეკვატური. ეს განსაკუთრებით ეხება კერძო უმაღლესების პროგრამების სტუდენტებს, რომელთა გადასახადი სახელმწიფო გრანტს – 2250 ლარს სცილდება. სტუდენტთა გარკვეულმა რაოდენობამ სწორედ ამ მიზეზით აიღო აკადემიური სემესტრი და სწავლების ჩვეულ ფორმატს ელოდებიან.

სტატუს შეჩერებული სტუდენტები და სამინისტროს საშელავათო პოლიტიკა

პირველ რიგში, გეტყვით, რომ სტატუსის შეჩერება ყოველთვის არ უკავშირდება ფინანსურ დავალიანებას. თუმცა, ჩვენ ახლა ვსაუბრობთ სტუდენტების იმ ჯგუფზე, რომელმაც 2020 წლის 1 მარტის შემდეგ, რაც გაზაფხულის სემესტრი დაიწყო და პანდემია გამოცხადდა, ვეღარ შეძლო საფასურის გადახდა.

სახელმწიფო სტუდენტების სწავლის საფასურზე, წლიურად, 100 მილიონ ლარზე მეტს ხარჯავს. ეს კი, დაახლოებით, სტუდენტთა რაოდენობის ერთ მესამედს ფარავს. თუმცა, ისიც საკითხავია, რამდენად გამართლებულია სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებული სტუდენტთა ასეთი რაოდენობა, ანუ რამდენად ეფექტურია ეს ხარჯი (ამ თემაზე ცალკე შეიძლება საუბარი). ისევ კითხვას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ ამ 100 მილიონ ლარს, პანდემიის პერიოდში, კიდევ 16 მილიონი ლარი დაემატა, რომელიც პრემიერის ინიციატივით გადაირიცხა ყველა იმ სტუდენტზე, ვისაც 150 ათას სოციალურ ქულაზე ნაკლები ჰქონდა. ასეთი კი, 15 ათას სტუდენტზე მეტი აღმოჩნდა. დამერწმუნეთ, ეს უზარმაზარი დახმარება იყო – მათ დაეფარათ არა მხოლოდ 2020-2021 წლის შემოდგომის სწავლის საფასური, არამედ უკანა თარიღითაც –გაზაფხულის სწავლის დავალიანებაც. ასე რომ, მთავრობის ინიციატივამ სტუდენტების საკმაოდ დიდი რაოდენობა მოიცვა.

ამის გარდა, სტუდენტთა დაფინანსებას თუ ჩავშლით, მათ მხარდამჭერ კიდევ ბევრ პროგრამას ვნახავთ – 13 სოციალური კატეგორია, რაც სრული საგრანტო დაფინანსების ბიუჯეტის 20%-ს შეადგენს; პროგრამული დაფინანსება ე.წ. უფასო ფაკულტეტები, რომლებიც მთლიანად დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ, რაც ცალკე ბიუჯეტს შეადგენს. ასევე, არის სასტიპენდიო ფონდი, რომელიც წარმატებული სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი და ისინი, თვეში 150 ლარს იღებენ, სტიპენდია დისტანციური სწავლების ფორმატშიც ნარჩუნდება.

აღმოჩნდა, რომ სტუდენტების თვითმმართველობებმაც თავისი ბიუჯეტი სოციალურ მხარდაჭერაზე გადაანაწილეს, რაც მისასალმებელია – მიიღეს განცხადებები, ვის სჭირდებოდა სწავლის საფასურზე დახმარება ან კომპიუტერების შეძენა და ასეთ საჭიროებებს მოახმარეს თავიანთი ბიუჯეტი. რაც მთავარია, ეს არ იყო ერთეული შემთხვევები, სოლიდარობამ მასშტაბური სახე მიიღო და თანადგომის ბევრი შესაძლებლობა გაიხსნა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, პანდემიის დაწყებისთანავე, მინისტრის ინიციატივით გამართულ რექტორთა საბჭოზე, გაიცა რეკომენდაციები, რომ სტუდენტებისთვის სტატუსი არ შეეჩერებინათ. უმაღლესებმა სწავლის საფასურის გადასახადის არსებული გრაფიკების მოდიფიცირება მოახდინეს, მომზადდა ინდივიდუალური გრაფიკებიც. სასიხარულოა, რომ გვყავს უნივერსიტეტები, რომლებმაც სტუდენტებს, გადასახადის გამო, სტატუსი არ შეუჩერეს. მაგალითად, ასეთია ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელმაც, პანდემიის პერიოდში, არც ერთ სტუდენტს არ შეუჩერა სტატუსი. ზოგადად, ჩვენ ვერ ვერევით უნივერსიტეტების ფინანსურ პოლიტიკაში, ჩვენი მხარდაჭერა მხოლოდ რეკომენდაციებით შემოიფარგლება.

ასევე, ჩვენი ინიცირებულია რამდენიმე შეხვედრა სტუდენტური დასაქმების პოლიტიკის მხარდასაჭერად. ამასთან ერთად, მივუბრუნდით სტუდენტურ სესხებსაც. იმედია, ამ ორი მიმართულებით – სტუდენტური დასაქმება და სტუდენტური სესხები – უახლოეს მომავალში ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება.

რას დაეფუძნება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი

უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელის ცვლილებასთან დაკავშირებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, განიხილება რამდენიმე მოდელი. ამ მიმართულებით, გასულ წელს, დაიწყო მსოფლიო ბანკის პროექტი, აყვანილი არიან ექსპერტები როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი, რომლებიც განიხილავენ მოდელების ალტერნატიულ ვარიანტებს. რაც შეეხება თვლად კომპონენტებს, ეს არ იქნება ცალმხრივად სამინისტროს მხრიდან მიღებული გადაწყვეტილება, უნივერსიტეტებთან ერთად გაივლის პილოტირებას შედეგზე დაფუძნებული თვლადი კომპონენტები. ამის გარდა, რეგიონული უნივერსიტეტებისთვის ცალკე შევიმუშავებთ გარკვეულ პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონისთვის პრიორიტეტული დარგების განვითარების ხელშეწყობაზე. განსხვავებული მხარდამჭერი პოლიტიკა იქნება

უმაღლესი განათლება

გატარებული სახელოვნებო-შემოქმედებითი უნივერსიტეტებისთვის, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დაფინანსების ახალი მოდელი არ იქნება ხისტი – ყველა უნივერსიტეტისთვის საერთო მიდგომაზე დაფუძნებული, დარგობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, მათ საჭიროებებზე იქნება გათვლილი. მოგეხსენებათ, რომ ყველა პროგრამას ერთი და იგივე ბიუჯეტი არ სჭირდება განსახორციელებლად და, მაგალითად, 2250 ლარი – საგრანტო ოდენობა – არ ეყოფა მედიცინის პროგრამების შესწავლას, თუმცა, გარკვეული ჰუმანიტარული პროგრამისთვის შესაძლოა ეს თანხა საკმარისი აღმოჩნდეს. როგორც გითხარით, მუშავდება რამდენიმე ალტერნატიული პროექტი და შესაძლოა, წლის ბოლოს ან 2022 წლისთვის, ჩვენ გახსნილად შემოგთავაზოთ უმაღლესების დაფინანსების სრულიად ახალი მოდელის შეთანხმებული სამუშაო ვერსია.

შეიცვლება თუ არა დაფინანსების ახალ მოდელში არსებული გრანტის ოდენობა

რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, წინასწარ ვერ გეტყვით. საჭიროა ყველა დეტალის ზედმიწევნითი გავლა. შეიძლება შეიქმნას სრულიად განსხვავებული მოდელი, რომელზეც ჯერ არც კი გვიმუშავია. თუმცა, რადგან უკვე გვაქვს დიდი გამოცდილება და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობა, ამიტომ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ რაღაც ახალია შესაქმნელი.

თავისთავად, ეს ყველაფერი ბმაშია ერთიან ეროვნულ გამოცდებთან. ჩვენი საგრანტო სისტემა მთლიანად დაფუძნებულია ეროვნულ გამოცდებზე სტუდენტის წარმატებაზე. სტუდენტი, რომელიც გრანტს მიიღებს, ოთხი წლის განმავლობაში, ყოველგვარი აკადემიური მოსწრების კონტროლის გარეშე სარგებლობს დაფინანსებით. თუმცა, ჯერჯერობით არ ვიცით, როგორ დალაგდება საგრანტო პოლიტიკა ახალი მოდელის შემთხვევაში, ვინაიდან მოდელი სრულიად განსხვავებული იქნება. ჯერ არ არის გადაწყვეტილი როგორ შეეხება მოდელი იმ პრიორიტეტული, ე.წ. უფასო ფაკულტეტების ბიუჯეტებს, რომლებმაც, ბოლო წლებში, მიზნობრიობა საერთოდ დაკარგა.

განათლების სამინისტროსთვის ყოველთვის ხარისხზე ზრუნვა და სტუდენტის აკადემიური მოსწრებაა მნიშვნელოვანი. მე თვითონ 30 წელია, რაც საუნივერსიტეტო სივრცეში ვარ და ჩემთვის უფრო მისაღები იქნებოდა, მაგალითად, სასწავლო წლის მიხედვით ან სემესტრულად შემოწმდეს სტუდენტის კონკურენტუნარიანობა. არსებული გრანტის მიღების წესი სტუდენტის რეალურ აკადემიურ მოსწრებას ვერ პასუხობს. არის შემთხვევები, როცა აბიტურიენტი, ერთიან ეროვნულ გამოცდაზე გარკვეული სტრესის ან სკოლაში ვერ მიღებული ხარისხიანი განათლების გამო, არ არის წარმატებული, ამიტომაც გვაქვს მეორე მექანიზმი – გრანტის გასაუმჯობესებელი გამოცდები და ეს ინსტრუმენტი კარგად მუშაობს. თუმცა, არის შემთხვევები, როცა 100%-იანი გრანტის მქონე სტუდენტის წარმატების ინდექსი უნივერსიტეტში სწავლის დროს უფრო დაბალია. ასეთი შემთხვევების დროს, გრანტის მიზნობრიობა იკარგება. მეტიც, ზოგიერთი საერთოდ წყვეტს სწავლას. ამიტომ ვფიქრობ, ეს სივრცე უფრო კონკურენტუნარიანი უნდა გახდეს სტუდენტებისთვის, რაც გაზრდის მათ მოტივაციასაც.

ერთიანი ეროვნული გამოცდების რეფორმირება კავშირშია თუ არა დაფინანსების მოდელის ცვლილებასთან

ერთიანი ეროვნული გამოცდების რეფორმა განხორციელდება, მაგრამ, როგორც დაფინანსების მოდელის შემთხვევაში განსაზღვრული გვაქვს დრო და პროექტის გამოკვეთილი მხარდამჭერი, მსოფლიო ბანკის სახით, ერთიანი ეროვნული გამოცდების რეფორმის გამოკვეთილი მონახაზი არ არსებობს. რაც შეეხება მინისტრის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას, ეს მისი მოსაზრება იყო ისევე, როგორც მე ვისაუბრე ზემოთ გრანტის გაცემის წესის შესახებ. მინისტრმა მხოლოდ მოსაზრება გამოთქვა, საუბარი არ იყო არც კონკრეტული დროის და არც მოდელის შესახებ. უახლოეს მომავალში რომ არაფერი იცვლება, ამას რამდენიმე დღის წინ ჩატარებული ბრიფინგიც ადასტურებს, სადაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, სოფო გორგოძემ, რეგისტრაციის დაწყების გამოცხადებასთან ერთად, განაცხადა, რომ აბიტურიენტები 2021 წლის ზაფხულის გამოცდებისთვის არანაირ ცვლილებას არ უნდა ელოდონ.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

პირველკლასელთა რეგისტრაცია იწყება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ პირველკლასელთა რეგისტრაციისთვის ვადები განსაზღვრა.

2021-2022 სასწავლო წლისთვის სკოლებში დარეგისტრირებას შეძლებენ ბავშვები, რომლებსაც 6 წელი 15 სექტემბრის ჩათვლით უსრულდება.

✓ **I ეტაპი** – რეგისტრაციის პირველ ეტაპზე, **2021 წლის 15 მარტიდან 2021 წლის 26 მარტის ჩათვლით**, სკოლებში დარეგისტრირდებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვები.

I ეტაპზე დასარეგისტრირებელი ბავშვების მშობლებმა განცხადებით უნდა მიმართონ სასურველ საჯარო სკოლას. სკოლის ადმინისტრაცია ბავშვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) დაარეგისტრირებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით, მშობელი სკოლაში შესაბამის მიმართვის ფორმას ავსებს, რის შემდეგაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ბავშვის შეფასება და მისი საგანმანათლებლო საჭიროების დადგენა მოხდება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლის ჩარიცხვას შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოფს. რეგისტრირებული ბავშვებისთვის დოკუმენტების წარდგენის პერიოდია **2021 წლის 29 მარტიდან 24 აპრილის ჩათვლით**.

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ შესაძლოა ჩაითვალოს ბავშვი, რომელსაც აქვს: ა) ფიზიკური შეზღუდვა; ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა; გ) სწავლის უნარის დარღვევა; დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის); ე) მეტყველების განვითარების დარღვევა; ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა; ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება; თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; ი) აუტიზმის სპექტრის მქონე.

იმ ბავშვების მშობლებს, რომლებსაც არ დაუდასტურდებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, საშუალება ექნებათ, ბავშვების რეგისტრაცია მომდევნო ეტაპებზე განახორციელონ.

✓ **რეგისტრაციის II ეტაპი, 27 აპრილიდან 11 მაისის ჩათვლით იქნება შესაძლებელი და სკოლაში დარეგისტრირდებიან ის ბავშვები, რომელთა:**

ა) და-ძმაც სწავლობს იმავე სკოლაში;

ბ) მშობელი/მეურვე/მზრუნველი იმ საჯარო სკოლის თანამშრომელია;

გ) ოჯახიდან, ერთდროულად, ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

ამ ეტაპზე რეგისტრაცია ხორციელდება საჯარო სკოლებში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე. რეგისტრაციას უზრუნველყოფს საჯარო სკოლა.

✓ **III ეტაპი – საყოველთაო რეგისტრაცია – 13 მაისიდან დაიწყება და 5 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.**

რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე www.emis.ge. რეგისტრაციას უზრუნველყოფს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ელექტრონულად რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა **8 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით განხორციელდება. დადგენილ ვადებში დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმდება.**

✓ **IV ეტაპი, 24 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით,** სკოლებში განხორციელდება. ამ ეტაპზე გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ან დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე იმ მოსწავლეების რეგისტრაცია მოხდება, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ I, II და III ეტაპებზე, ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა.

მოსწავლის რეგისტრაციას მეოთხე ეტაპზე უზრუნველყოფს საჯარო სკოლა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი აუცილებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

პირველ კლასში ჩასარიცხი დოკუმენტები:

➡ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას;

➡ მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სამინისტრო მშობლებს მოუწოდებს ყურადღებით გაეცნონ რეგისტრაციის ვადებს და პირობებს, რათა ბავშვის სკოლაში შეყვანა დროულად და შეუფერხებლად შეძლონ.

სრულ დისტანციურ სწავლებაზე გადასულია 17 სკოლა და 145 კლასი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, სასწავლო პროცესის საკლასო ოთახში დაბრუნებიდან დღემდე, საქართველოს ყველა სკოლაში მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ინფიცირების მაჩვენებელმა კიდევ უფრო იკლო.

გასულ კვირას, ინტენსიური მონიტორინგისა და სავალდებულო ტესტირების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით, Covid-19 მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის 0,1%-ს და მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 0,01%-ს დაუდასტურდა.

მშობელთა თხოვნით, ასევე, კოვიდის დადასტურების მიზეზით, ქვეყნის მასშტაბით, სრულ დისტანციურ სწავლებაზეა 17 სკოლა და 145 ცალკეული კლასი. საქართველოს მასშტაბით რისკ-ჯგუფში მყოფმა 69 მასწავლებელმა თხოვნით მიმართა სკოლის ადმინისტრაციას და დარჩა დისტანციური სწავლების ფორმატში.

პროტოკოლით გათვალისწინებული ნორმების დაცვის მონიტორინგში ჩართულია როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, ასევე მინისტრის პირველი მოადგილე ეკატერინე დგებუაძე, ზოგადი განათლებისა და კოორდინაციის სამმართველოები, მანდატურის სამსახური და რესურსცენტრები.

სასწავლო პროცესის საკლასო ოთახში დაბრუნებიდან დღემდე, მინისტრის პირველი მოადგილე, შემთხვევითობის პრინციპით, რამდენიმე ათეულ სკოლაში იმყოფებოდა. ზოგადი განათლებისა და კოორდინაციის სამმართველოების მხრიდან თბილისსა და რეგიონებში შემოწმებულია 120-ზე მეტი სკოლა, ხოლო რესურსცენტრების მხრიდან მონიტორინგი ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს. მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები რეგულაციების შესაბამისად მაღალ დონეზეა დაცული, სისტემატურად ხდება საპირფარეშოებისა და დერეფნების სველი წესით დამუშავება. შეზღუდულია სკოლის შენობაში ვიზიტორთა შესვლა. პედაგოგებს დაწყებითი კლასის მოსწავლეები მშობლებთან, სკოლის ეზოში, ორგანიზებულად გამოყავთ. დაცულია პირბადის ტარების წესები. ერთეულ შემთხვევებში, შემოწმების შედეგად, გამოვლენილია ხარვეზები, რის გამოც სკოლებმა დამატებითი რეკომენდაციები მიიღეს.

ვირუსის გამოვლენის შემთხვევებში, სკოლებზე კვლავ წერტილოვანი შეზღუდვები გავრცელდება და, როგორც წესი, ჯანდაცვის სამინისტროს პროტოკოლის გათვალისწინებით იმოქმედებენ.

სახელმძღვანელოები

სახელმძღვანელოების გრიფირების ეტაპები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ IX კლასის ყველა საგნისა და დაწყებითი და საბაზო საფეხურების (I-VIII კლასების) ზოგიერთი საგნისთვის დაიწყო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი, რომელიც სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაზე არსებულ პლატფორმაზე – https://grifireba.emis.ge/ – სრულად ელექტრონულად მიმდინარეობს. ეს, სახელმძღვანელოების შეფასების პროცესში, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი სპეციალისტების ჩართვის შესაძლებლობასაც იძლევა.

მინისტრის პირველი მოადგილე, ეკატერინე დგებუაძე აცხადებს, რომ სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, მშობლების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, გრიფირების ელექტრონულ პორტალზე, 18 მარტის ჩათვლით, საჯაროდ იქნება განთავსებული ყველა სახელმძღვანელოს მაკეტი (ანონიმური ეგზემპლიარი). აღნიშნულ პორტალზე ნებისმიერ მსურველს ექნება შესაძლებლობა, გაეცნოს სახელმძღვანელოების შინაარსს და გააკეთოს შესაბამისი კომენტარი, რისთვისაც უნდა ეწვიოს ვებგვერდს grifireba.emis.ge, აირჩიოს შესაბამისი მიმართულება და საგანი.

დაინტერესებული პირების მიერ პორტალზე დატოვებულ კომენტარებს განიხილავენ სახელმძღვანელოების შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფები, რომლებიც საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტებთან ერთად, აერთიანებს მრავალწლიანი პრაქტიკის მქონე მასწავლებლებს, დარგის მეცნიერებს, ფსიქოლოგებს, ფილოლოგებსა და სხვა პროფესიის წარმომადგენლებს.

სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი რამდენიმე ეტაპად განხორციელდება: რეცენზირების **I ეტაპი** მაისში, ხოლო **II ეტაპი** – ივნისის დასაწყისში დასრულდება. სახელმძღვანელოებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება 2021 წლის 18 ივნისამდე იქნება მიღებული. იმ შემთხვევაში, თუ საგანში სამზე მეტი გრიფირებული სახელმძღვანელო გაივლის რეცენზირების ეტაპს, სკოლა არჩევანს რეიტინგის პირველი სამეულიდან გააკეთებს.

2021 წელს სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების გრიფირებასთან დაკავშირებით 54 განაცხადი გაკეთდა, საიდანაც 53-მა გადალახა პირველი საფეხური და რეცენზირების ეტაპზე გადავიდა. ამასთან, პირველად გრიფირების ისტორიაში, შესაფასებლად წარმოდგენილია I-IV კლასების აფხაზური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები.

სახელმძღვანელოების რეცენზენტთა შერჩევისა და მათი გადამზადების მიმართულებით სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატთან და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან. სისტემის ამგვარი ღიაობა დადებითად შეფასდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ ანგარიშში – „თანასწორობის პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში“. ამასთან, 2020 წელს გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით, საერთაშორისო დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ ჩატარდა სასკოლო სახელმძღვანელოების პროცესის შეფასება და გაიცა რეკომენდაციები.

ემის-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის საჯარო განხილვის შედეგები თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება განმცხადებლისა და შინაარსობრივი რეცენზიის განმახორციელებელი რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფისათვის. საჯარო განხილვის დროს დაფიქსირებული შენიშვნების გაზიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებული იქნება საგნობრივი ჯგუფის დამსწრე რეცენზენტთა ხმათა უმრავლესობაზე, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი იქნება საგნობრივი ჯგუფის თავმჯდომარის ხმა.

საჯარო განხილვის დროს დაფიქსირებული შენიშვნების საგნობრივი ჯგუფის მიერ გაზიარების შემთხვევაში, იგი აისახება შინაარსობრივი საგნობრივი ჯგუფის რეკომენდაციაში და განმცხადებლებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი გახდება.

სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების საჯარო განხილვის პროცესი 2021 წლის 4 მარტს დაიწყო და 18 მარტს დასრულდება.

ფონდი „სოხუმი“

ონლაინ კონფერენცია
კონფლიქტის მართვა და ძალადობის პრევენცია

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ ორგანიზებით, ონლაინ პლატფორმა ზუმის საშუალებით, ჩატარდა 5-თვიანი მუშაობის შემაჯამებელი კონფერენცია. მონაწილეობდნენ: დასავლეთ საქართველოს – იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის ათი სამიზნე მუნიციპალიტეტი (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, თერჯოლა, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ქობულეთი), საგანმანათლებლო რესურსცენტრები, მერიის ახალგაზრდული დეპარტამენტები, სკოლის ადმინისტრაცია და პროექტში ჩართული მოსწავლეები. ღონისძიების თემა – *„კონფლიქტის მართვა და ძალადობის პრევენცია“* იყო, რომელიც ფონდი „სოხუმის“ ახალგაზრდული მიმართულების პროექტის ასისტენტებმა მოამზადეს.

ფონდი „სოხუმი“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდებთან მუშაობას. ამიტომ, იმ რაიონებში, სადაც ფონდი აქტიურად მუშაობს, უკვე რამდენიმე წელია, ჩამოყალიბდა ახალგაზრდული სასკოლო კლუბები, რომლებიც დაკომპლექტებულია ენერგიული, აქტიური, ინიციატივიანი გოგო-ბიჭებით. კლუბის წევრები ყოველთვიურად იკრიბებიან და საინფორმაციო შეხვედრებზე უამრავ აქტუალურ საკითხზე მსჯელობენ: **ძალადობის პრევენცია, ტოლერანტობა, ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლა, ეთიკა და ესთეტიკა, პიროვნული კულტურა, ტრეფიკინგი, სქესობრივი აღზრდა, კონფლიქტის მართვა და ძალადობის პრევენცია...** შეხვედრებზე ხშირად იკვეთება კონკრეტული ინიციატივები. ახალგაზრდული კლუბები ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს, ვორკშოპებს, დისკუსიებს, აქციებს, თემატურ კონკურსებს, ნახატების გამოფენებს. ახალგაზრდებთან მუშობის მხარდამჭერია საერთაშორისო ორგანიზაცია „პური მსოფლიოსათვის“ (Brot für die Welt),

„ახალგაზრდებთან მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ინფორმირებულობისთვის. არაფორმალური განათლება მოსწავლეებს აძლევს საწყის ბაზას პიროვნული განვითარებისა და განათლებისათვის, მათ უვითარდებათ ლიდერული თვისებები, გულწრფელობის, დისკუსიის, მოსმენის კულტურის, მიზანდასახულობისა და დროის სწორი გადანაწილების უნარ-ჩვევები“ – **ნინო ჭაბუკიანი**, ტრენერი.

ახალგაზრდული მიმართულების კონფლიქტოლოგის, **ლარისა (ლელა) შენგელიას** აზრით, კონფლიქტების მართვის სწავლება სკოლებში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია: *„პროექტის BROT (Brot für die Welt) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება ახალგაზრდებთან მუშაობაა, რომელიც მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოს 4 რეგიონში – იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის მუნიციპალიტეტებში. შერჩეული სკოლების ახალგაზრდებთან (VII-IX კლასები), 5 თვის განმავლობაში, თვეში ერთხელ, 1, 5 საათის ხანგრძლივობით, ტარდება ვორკშოპები. ამისათვის შემუშავებულია სპეციალური მეთოდოლოგია ფონდი „სოხუმის“ პარტნიორი ორგანიზაციის მიერ. ყოველი შეხვედრა კონფლიქტის თემას ეხება – „რა არის კონფლიქტი, მისი მხარეები, გაჩენის მიზეზები, კონფლიქტის ესკალაცია, კონფლიქტის შესაძლო შედეგები, კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტილი, მისი მშვიდობიანად მოგვარების უნარები“. ეს ის თემებია, რასაც მონაწილეები 5 თვის განმავლობაში სწავლობენ.*

ჩვენი შეხვედრების მიზანია: მოზარდები იყვნენ მეგობრულები, ჰუმანურები, ტოლერანტულები, დაინახონ კავშირი კონფლიქტსა და ძალადობას შორის, გაიგონ, რომ ძალადობას ყოველთვის წინ უსწრებს კონფლიქტი, რომ ძალადობა დანაშაულია და კანონით ისჯება, ისწავლონ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება და დროულად შეჩერება. თვიდან თვემდე მონაწილეები პროექტის ასისტენტისგან იღებენ საშინაო დავალებებს, ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს და სიამოვნებით უზიარებენ დანარჩენ მოსწავლეებს შეძენილ უნარებს, წერენ ესსეებს, ხატავენ, ამზადებენ ვიდეორგოლებს კონფლიქტის თემაზე. ხუთ თვეში ერთხელ ტარდება შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც მონაწილეები აკეთებენ პრეზენტაციებს, ყვებიან ცვლილებებსა და პროექტის გავლენაზე. გამორჩეულ და აქტიურ მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები“.

ვაჟებთან მუშაობის კომპონენტი ფონდ „სოხუმში“ 2018 წლის თებერვალში გამოჩნდა. მას შემდეგ, უკვე მესამე წელია, დასავლეთ საქართველოს ცხრა ქალაქში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, ეს ქალაქებია: ქუთაისი, თერჯოლა, ზუგდიდი, ფოთი, სენაკი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, წყალტუბო. ვაჟებთან მუშაობის კომპონენტი არა მარტო რეგიონისთვის, არამედ საქართველოსთვისაც სიახლეს წარმოადგენდა. შეხვედრებს მხოლოდ ვაჟები ესწრებიან, ისინი ღიად საუბრობენ გენდერულ სტერეოტიპებზე, საზოგადოებაში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. აღსანიშნავია, რომ სამწლიანი მუშაობის პერიოდში ფონდმა შეძლო სამოც სკოლასთან და 800-მდე ვაჟთან შეხვედრა, მათი ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება.

ფონდი „სოხუმის“ ტრენერი **ბექა ფოცხვერია**, ვაჟებთან მუშაობისას, შეხვედრის ჩატარების ისეთ მეთოდებს იყენებდა, როგორიცაა: ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები, დებატკლუბები, ვიდეორგოლების ჩვენება. *„ვაჟებთან მუშაობა მნიშვნელოვანია ძალადობისა და გენდერთან დაკავშირებული პრობლემების პრევენციის კუთხით, რადგანაც მუშაობის დროს იცვლება მათი დამოკიდებულებები, ვაჟები უფრო პასუხისმგებლიანები და ტოლერანტულები ხდებიან“* – ამბობს ბექა ფოცხვერია.

კონფერენციაში 64 მოსწავლე მონაწილეობდა. მათ წარმოადგინეს პრეზენტაციები თემაზე – „კონფლიქტის მართვა და ძალადობის პრევენცია“; ისაუბრეს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების, წყაროების, ტიპების, მართვისა და შედეგების შესახებ, მოლაპარაკების გზებზე, კონფლიქტის სახეების, მართვის მეთოდების, კონფლიქტის ანალიზისა და ეფექტიანად მოგვარების შესახებ.

მოამზადა **მაკა ყიფიანმა**

გამოცდილება და თანამედროვე ცოდნა საუკეთესო კომბინაციაა ხარისხის უზრუნველყოფისთვის

გვესაუბრება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი

პროფესიულმა კოლეჯებმა პირისპირ სწავლება განაახლეს

პროფესიული განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, დისტანციურად ძალიან მცირე რაოდენობის სასწავლო პროგრამის განხორციელებაა შესაძლებელი. ამიტომაც საგრძნობლად შევფერხდით, საჭირო გახდა ჩვენი პროგრამების ლოგიკის და თანმიმდევრობის გადაწყობა და დისტანციური ტიპის სწავლებაზე მორგება. ასე რომ, მხოლოდ თეორიული კომპონენტის მიწოდება შევძელით სტუდენტებისთვის. პირველი მარტიდან კი, პრაქტიკული კომპონენტით განახლდა სწავლა. თუმცა, ეს არ არის იმპერატიული მოთხოვნა, მხოლოდ შესაძლებლობაა, თუ ვინმეს თეორიული ნაწილი არ ამოუწურავს, ონლაინ რეჟიმში დარჩება. თითოეული კოლეჯი საკუთარი ლოკალური ვითარების (ეპიდსიტუაცია, სტუდენტების ჩართულობა) გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას, რა ფორმით გააგრძელებს სწავლას. ზოგმა შეიძლება პროგრამების მხოლოდ გარკვეული ნაწილი გაიყვანოს პირისპირ სწავლებაზე ან გააკეთოს ჭადრაკული განრიგები, რაც სწავლების ჰიბრიდულ მეთოდს გულისხმობს. განათლების სამინისტროს რეკომენდაციაც ეს იყო – ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ გავიხსნათ და არა ერთბაშად. მთავარია, შეთავაზებული მიდგომა მაქსიმალურად მოქნილი იყოს და ითვალისწინებდეს ეპიდსიტუაციას და სტუდენტის ინტერესებს.

კოლეჯებმა იმუშავეს ამ მიმართულებით, რა ფორმით და რა ინტენსივობით გაგრძელდეს სასწავლო პროცესი, ზოგან რამდენიმე დღე კვლავ დისტანციურად დარჩება, ზოგან კვირაში ერთხელ განხორციელდება რომელიმე პროგრამაზე პირისპირ სწავლება და ა.შ. სამინისტროში კოლეჯებს წარმოდგენილი აქვთ თავიანთი გეგმები, რომელთა განხორციელებასაც ჩვენ აუცილებლად გავუწევთ მონიტორინგს. ამ პროცესს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებიც დააკვირდებიან. ამის გამოცდილება ჩვენ გვაქვს და ვფიქრობ, ბევრად უმტკივნეულოდ ჩაივლის ეს ეტაპი იმიტომ, რომ ეს გზა შარშან, შემოდგომაზე გავკვალეთ. მაშინ მართლა ბევრი სირთულე და გამოწვევა დავძლიეთ, ბევრი სიახლე იყო, რაც დღეს გამოცდილებაა. ამიტომ არავითარ გართულებას არ ველოდები.

პროფესიული მასწავლებლის განვითარების მოდელი

ჩვენ არ ვიყენებთ ტერმინს „სქემა“, რადგან პროფესიულ განათლებაში, ზოგადისგან განსხვავებით, არ არის საფეხურებრივი დაყოფა. ეს იქნება მასწავლებელთა განვითარების მოდელი – ერთი აქტი მინისტრის ბრძანებით, რომელიც არეგულირებს პროფესიული მასწავლებლის შესვლას პროფესიაში და იმ მოთხოვნებს, რასაც მას სისტემა უყენებს.

დოკუმენტზე მუშაობდა მსოფლიო ბანკის შესაბამისი პროექტი 500-ზე მეტი ადამიანის ჩართულობით, მათ შორის კოლეჯების პედაგოგები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დონორი და საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მთელი პროცესი კონსულტაციების რეჟიმში მიმდინარეობდა. ამჟამად მუშაობა დასრულებულია, პროექტი უკვე წარმოდგენილია განათლების სამინისტროში, განვიხილავთ და მივცემთ კანონქვემდებარე აქტის ფორმას. იგი ემყარება სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკას და ბევრი რამით განსხვავდება სქემისგან. პროფესიულ განათლებაში პედაგოგები აკადემიური სფეროდან კი არ მოდიან, უმეტესწილად, პრაქტიკოსი პროფესიონალები არიან. სწორედ ამ გამოცდილებაზე და სხვადასხვა დარგის სპეციფიკაზე კეთდება ჩვენს სისტემაში აქცენტი, ასევე, ამ დარგების წარმომადგენელთა მონაწილეობაზე მასწავლებელთა განვითარების პროცესში.

კიდევ ერთი არსებითი განსხვავება – საუბარია დეცენტრალიზებულ მოდელზე, როცა მასწავლებლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად კოლეჯს ეკისრება და არა განათლების სამინისტროს. იგი მხოლოდ მოქნილ ჩარჩოს და ერთგვარ სტანდარტს ქმნის თუ როგორი უნდა იყოს პროფესიული მასწავლებელი, ხოლო ამ სტანდარტის დაკმაყოფილება, პედაგოგების შერჩევა და მათ განვითარებაზე ზრუნვა უკვე კოლეჯის პრეროგატივა და პასუხისმგებლობაა. მან საბოლოო შედეგის, ხარისხიანი სწავლების უზრუნველსაყოფად, უნდა მოიძიოს როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური და ფინანსური რესურსი. ეს მოდელი ერთგვარად ავსებს პროფესიული სასწავლებლების ავტორიზაციის სტანდარტით შარშან გაკეთებულ განაცხადს, რაც ამ პროცესების დეცენტრალიზაციას ეფუძნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამინისტრო მასწავლებელს, პირდაპირი გზით, არავითარ სერვისს არ სთავაზობს – ჰარმონიულად ვითარდება კოლეჯი თავისი ადამიანური რესურსით.

სქემისგან განსხვავებით, მოდელი არც სტატუსების მინიჭებას ითვალისწინებს. აქ საუბარია სამი ტიპის მასწავლებელზე, ესენია: სასწავლო დაწესებულების მასწავლებელი, რომელიც სასწავლებლის მიერაა დასაქმებული და ძირითად დროს სწორედ სასწავლებელში ატარებს; მოწვეული მასწავლებელი – სასწავლებლის მიერ შერჩეული პროფესიონალი დარგიდან, რომელიც შედარებით მცირე ინტენსივობითაა ჩართული სასწავლო პროცესში და ბოლოს, ინსტრუქტორი, რომელიც კომპანიის მიერაა დაქირავებული სამუშაო ადგილზე სწავლების (მათ შორის დუალური მოდელით სწავლების) უზრუნველსაყოფად.

ანაზღაურების ახალი სისტემა – ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელი ფაქტორი

რაც შეეხება პროფესიული მასწავლებლის ანაზღაურების საკითხს, პროექტმა ბევრი ფაქტორი და კრიტერიუმი შემოგვთავაზა, მაგრამ მოდელის მიხედვით, ძირითადად, ეს დაუკავშირდება მის მიერ შესრულებულ სამუშაოს, დატვირთვის ხარისხსა და სირთულეს და არა განვლილი ტრენინგების ან კრედიტებში გამოხატული აქტივობების რაოდენობას. ამ საკითხთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილებას კოლეჯი მიიღებს, დადგენილი მინიმალური ანაზღაურებისა და დამატებითი ცვლადების გათვალისწინებით. მოდელის პროექტში ბევრი ცვლადია წარმოდგენილი, ამათგან რომლის გათვალისწინება მოხდება პირველ ეტაპზე, რომლის – გარდამავალ ეტაპზე თუ მომავალში, ამ მომენტში ამის თქმა გამიჭირდება. ჩვენ გავაგრძელებთ კონსულტაციებს ფინანსთა სამინისტროსთან, რათა შევჯერდეთ როგორ შევცვალოთ ანაზღაურების სისტემა ისე, რომ არჩეულმა მოდელმა წაახალისოს მაღალი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვა და ახალგაზრდებისთვისაც კარგ მოტივაციად იქცეს სისტემაში შესასვლელად. საბოლოოდ, ეს აუცილებლად აისახება განათლების ხარისხზე და სისტემა, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, სწორედ ამ მიზნის მიღწევას მოემსახურება.

ახალი მოდელის ცენტრალური ფიგურა, რა თქმა უნდა, კვალიფიციური მასწავლებელია. დანერგვის გარდამავალ პერიოდს კოლეჯები მასწავლებელთა განვითარებისთვის გამოიყენებენ. თუმცა, ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ თუ დღეს პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმას კარგი შედეგები აქვს, პირველ რიგში, ეს არა პოლიტიკის შემქმნელების, არამედ სწორედ იმ ადამიანების დამსახურებაა, ვინც ამ პროცესების წინა ხაზზეა – კოლეჯები და პედაგოგები, ყველას დიდი მადლობა ამისთვის. პანდემიის პირობებში მათ შეუძლებელი შეძლეს. სკოლებისა და უმაღლესებისგან განსხვავებით სასწავლო გეგმების თავიდან ბოლომდე გადახედვა მოუწიათ. ჩვენი მხარდაჭერით, გაერთიანდნენ დარგობრივ ქსელებში (ეს არის პატარ-პატარა ჯგუფები, სადაც მსგავსი პროგრამების მასწავლებლები ერთიანდებიან), მათთვის ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა ურთიერთობის ეს გზა პროგრამების გადამუშავების თვალსაზრისით. ბევრი ახალგაზრდა მასწავლებელი უფრო გამოცდილ პედაგოგებთან მონაწილეობდა ამ პროცესში. თანამედროვე ცოდნისა და უნარების მუდმივად განახლება და გაზიარება აუცილებელია სწავლების გამოცდილების მქონე მასწავლებელთათვის, მაშინ როცა, დარგიდან მოსულ პროფესიონალებს სასწავლო პროცესის წარმართვაში სჭირდებათ გამოცდილი მასწავლებლების დახმარება. აი, ეს ურთიერთსასარგებლო გაცვლაზე დაფუძნებული თანამშრომლობაა სწორედ საუკეთესო გზა ხარისხის უზრუნველყოფისთვის.

ინტერვენციები პროფესიულ განათლებაში ხარისხის გასაუმჯობესებლად

ეს პროცესი დიდი ხანია დაიწყო. გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შევიმუშავეთ ხარისხის ექსპერტის ახალი პროფილი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ექსპერტთა განვითარების სასერტიფიკატო პროგრამა, რომელიც ყველამ უნდა დაძლიოს. ახალი პროფილისა და მახასიათებლების მიხედვით უკვე კონკურსიც ჩავატარეთ და ხარისხის ექსპერტთა ახალი კოჰორტაც შევარჩიეთ. ახლა ტრენინგები მიმდინარეობს მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად, ტრენინგებს გადიან აგრეთვე სასწავლებლებში მომუშავე ხარისხის ექსპერტებიც. და ეს ყველაფერი ახალი სტანდარტის დანერგვის თანმდევი პროცესია. საქმე ისაა, რომ კრიტიკულად აუცილებელია, ახალი სტანდარტის შინაარსი და მისი ღირებულებები ერთგვაროვნად ესმოდეს ორივე მხარეს – კოლეჯში მომუშავე ხარისხის მენეჯერსა და იმ დამოუკიდებელ ექსპერტს, რომელიც კოლეჯში მიდის შეფასების მიზნით. მნიშვნელოვანია, ზუსტად იცოდეს ორივე მხარემ, რას ითხოვენ და ელიან ერთმანეთისგან. აქედან გამომდინარე, ეს პროცესი ერთჯერადი ტრენინგით, ცხადია, ვერ დასრულდება. ექსპერტთა კორპუსში მუდმივი ცვლილებებისა და გადინება-შემოდინების გათვალისწინებით, მათი შესაძლებლობების გაძლიერება და სერტიფიცირება, გარკვეული პერიოდულობით მოხდება. ეს „სერტიფიცირებაც“, გარკვეულწილად, სიმბოლური ტერმინია, ასე ვთქვათ, ურთიერთშეთანხმების აქტი, რომ გაზიარებული აქვთ სტანდარტის ღირებულებები. ეს პროცესი კოლეჯების ექსპერტებმა უკვე გაიარეს, ახლა ექსპერტთა კორპუსი გადის. ასე რომ, ეს უწყვეტი ციკლია.

მიმდინარე წლის სიახლეები

სამ მთავარ მიმართულებას გამოვყოფდი:

➲ პირველ რიგში, **კერძო სექტორის მონაწილეობის** გაძლიერება პროფესიულ განათლებაში, დარგობრივი პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაცია; პროფესიული განათლების მართვის სისტემის იმგვარად მოწყობა და გადაკეთება, რომ გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე ისმოდეს კერძო სექტორის ხმა, დაცული იყოს მისი ინტერესები.

➲ მეორეა **დეცენტრალიზაცია.** მიმაჩნია, რომ კოლეჯების გაძლიერება სხვანაირად ვერ მოხდება. ისინი მეტი პასუხისმგებლობით უნდა აღიჭურვონ.

➲ მესამე და ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც პირდაპირ კავშირშია ხარისხის განვითარებასთან, ეს არის **სისტემის ინტერნაციონალიზაცია.** ვფიქრობ, ლოკალურ პრაქტიკასა და ლოკალურ ბაზარზე პოზიციონირება წინსვლაში ვერ დაგვეხმარება. ამიტომ, რაც შეიძლება მეტი გაცვლითი პროგრამები გვჭირდება, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის სხვა ქვეყნებიდან ასეთი ერთეული შემთხვევები გვაქვს, მაგრამ ცალკეული ინიციატივების ხარჯზე. შარშან, მაისში, მწვავე პანდემიის დროსაც კი, სოფლის მეურნეობის მიმართულების სტუდენტები, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, გერმანელი პარტნიორების ინიციატივით, 6-თვიან სტაჟირებაზე იმყოფებოდნენ; კოლეჯები – „იკარუსი“ და „ახალი ტალღა“ – პანდემიამდე მონაწილეობდნენ და მომავალშიც გეგმავენ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, ტურიზმის მიმართულებით; საექთნო განათლების კერძო კოლეჯებიც თანამშრომლობენ საერთაშორისო კოლეჯებთან და ა.შ. მე იმას ვგულისხმობ, რომ ეს პროცესი სისტემაშია მოსაყვანი. იგი აუცილებლად უნდა იყოს მხარდაჭერილი ისეთი ძლიერი ინსტრუმენტით, როგორიცაა, მაგალითად, „ერასმუსის“ გაცვლითი პროგრამა უმაღლეს განათლებაში. ამ მიმართულებით ბევრი რამაა გასაკეთებელი. ავტორიზაციის ახალი სტანდარტი ხომ ევროპული ხარისხის ქსელის მიხედვითაა შემუშავებული, ე.ი. თამასა მაღალია.

გარდა ამისა, წელს დავამტკიცებთ პროფესიულ განათლებაში გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელების წესს, რაც იმას გულისხმობს, რომ პროგრამას ეყოლება ერთზე მეტი განმახორციელებელი. სისტემის ინტერნაციონალიზაციას ხელს შეუწყობს ისიც, რომ საერთაშორისო განათლების ცენტრს დაემატა პროფესიული განათლების გაცვლით პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობის ფუნქცია. რომ არა პანდემია, ეს პროცესი დიდი ხნის დაწყებული იქნებოდა. ახლა მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ მომავალ წელს აუცილებლად ამოქმედდება ინსტიტუციონალურად მხარდაჭერილი გაცვლითი პროგრამები პროფესიული სტუდენტებისთვის.

ესაუბრა **ანა ფირცხალაიშვილი**

შალვა ამონაშვილი — 90

ჰუმანური პედაგოგიკის ხუროთმოძღვარი

მიმდინარე წლის 8 მარტს დაბადების 90 წელი შეუსრულდა მსოფლიოში სახელგანთქმულ პედაგოგს, ჰუმანური პედაგოგიკის მამამთავარს, აკადემიკოს შალვა ამონაშვილს. ამ თარიღთან დაკავშირებით დაიწერა ეს სტატია.

ვინ არის შალვა ამონაშვილი?

სამწუხაროდ, აკადემიკოს შალვა ამონაშვილს მშობლიურ საქართველოში უფრო ნაკლებად იცნობენ, ვიდრე მის ფარგლებს გარეთ, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

შალვა ამონაშვილი – პედაგოგი და ფსიქოლოგი, დაიბადა 1931 წლის 8 მარტს, თბილისში. საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილი ჰქონია ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება, მაგრამ მედალოსნების ადგილი უნივერსიტეტში შევსებული ყოფილა და იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შევიდა, რომელიც 1955 წელს დაამთავრა. მამა დიდ სამამულო ომში დაეღუპა. საჭირო იყო დედისა და დისთვის დახმარება. ამიტომ მისულა კომკავშირის რაიკომში და სამუშაო უთხოვია. აქ მისთვის ერთ-ერთ სკოლაში უფროსი პიონერხელმძღვანელის ადგილი შეუთავაზებიათ, მაგრამ სკოლის დირექტორს არ მიუღია, უთქვამს, რომ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, მოსწავლეებისგან არ განირჩევი და როგორ განდო ეს ადგილიო. მისდა საბედნიეროდ, მალე იმ სკოლაში, რომელიც მან დაამთავრა, განთავისუფლებულა უფროსი პიონერხელმძღვანელის ადგილი და იქ დაუწყია მუშაობა. სწორედ აქ მუშაობის პერიოდში შეიყვარა მან ბავშვები და გაუჩნდა პედაგოგობის სურვილი.

ბატონმა შალვამ, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1960 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პედაგოგიკაში და მიენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ამავე წელს იწყებს მუშაობას პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორანტად, შემდეგ აქვე მუშაობდა უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, სწავლულ მდივნად, ლაბორატორიის გამგედ, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, დირექტორად. 1987-1990 წლებში მუშაობდა ექსპერიმენტული სამეცნიერო საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების გენერალურ დირექტორად. 1972 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მაგრამ არა პედაგოგიკაში, არამედ ფსიქოლოგიაში.

1964 წელს ბატონმა შალვამ, საქართველოს განათლების მინისტრის, თამარ ლაშქარაშვილისა და პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, დოცენტ გრიგოლ ფოფხაძის მხარდაჭერით, პროფესორ ბ. ხაჭაპურიძესთან ერთად, თბილისში ჩამოაყალიბა პირველი ექსპერიმენტული სკოლა და ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია, სადაც 6-წლიანი ბავშვების სწავლების პრობლემებს ამუშავებდა. ამ დროს, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, იგი უკვე აღიარებული იყო როგორც ერთ-ერთი ნოვატორი პედაგოგი.

1991-1998 წლებში სათავეში ედგა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკათა ფაკულტეტს. ამჟამად განაგებს მის მიერვე დაარსებულ ჰუმანური პედაგოგიკის აკადემიას და არის პედაგოგთა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი.

პირველად საქართველოში, ბატონმა შალვამ შემოიღო ხუთდღიანი სამუშაო დღე. ეს საკითხი მან ჯერ საქართველოს მასწავლებელთა V ყრილობაზე დააყენა, რომელიც 1982 წლის 9-11 ნოემბერს მიმდინარეობდა, 1988 წლის 20 დეკემბერს კი გაიხსნა განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა და მოითხოვა ჩვენი მოსწავლეების დახსნა ცენტრალური გათანაბრებისა და შტამპისაგან: მისი სამართლიანი აზრით, ნებისმიერი ეროვნების ბავშვს საკუთარი ეროვნული თავისებურებანი აქვს და არ შეიძლებოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში ერთიანი სასწავლო გეგმებით, პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობა: *„სანამ ასეთი ვითარება იქნება ჩვენს სკოლებში, სკოლის კედლებიდან გამოვლენ სკოლაზე და ცხოვრებაზე გაავებული ათასობით ჭაბუკები და ქალიშვილები“.*

როგორც ხდება ხოლმე, ახლის ძიებას, მომხრეებთან ერთად, მტრებიც გამოუჩნდნენ და ბატონ შალვას უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. ბოლოს იგი იძულებული გახდა საქართველო – მშობლიური ქვეყანა მიეტოვებინა, მოსკოვში გადასულიყო და იქ გაეგრძელებინა თავისი პედაგოგიკური იდეების ხორცშესხმა. მოსკოვში მან შექმნა საკუთარი საგამომცემლო სახლი, სადაც აკადემიკოს დ. ზუევთან ერთად „ქართული პედაგოგიკის ანთოლოგიას“ გამოსცემს. ამჟამად გამოცემულია 54 ტომი.

შალვა ამონაშვილი 50-მდე წიგნის ავტორია, ქართულ და რუსულ ენებზე. ქართულ ენაზე გამოცემული მისი წიგნებიდან ცნობილია: „გარდაქმნის მთავარი პირი: სკოლის პრობლემები“, თბილისი, 1989; „გამარჯობა, ბავშვებო!: მასწავლებელთა დასახმარებლად“, ცხინვალი, „ირისთონი“, 1989; „გამარჯობა, ბავშვებო!: დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის“, სოხუმი, „ალაშარა“, 1988 და სხვები.

იგი ხელმძღვანელობს 250-მდე ლაბორატორიას, სადაც სისტემატურად ეწყობა 5-დღიანი მასტერ-კლასები, საქართველოში კი ამდაგვარი არაფერია. ბატონი შალვა იძულებული გახდა, თავის მშობლიურ სოფელ ბუშეტში, ჩამოეყალიბებინა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი „მზის ქალაქი“, სადაც ზაფხულის არდადეგების დროს ატარებს ლექცია-სემინარებს, რომლებსაც მსოფლიოს ოცზე მეტი ქვეყნის პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები ესწრებიან.

1985 წელს ბატონი შალვა ყოფილი საბჭოთა კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, ხოლო 1989 წლის 27 იანვარს – ნამდვილ წევრად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1993 წლის 21 მარტს, იგი რუსეთის განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

აკად. შალვა ამონაშვილს, ლექციების წასაკითხად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იწვევენ, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი მსოფლიოს ასამდე ქვეყნის საპატიო დოქტორია და თავისი ასაკის მიუხედავად, ენერგიულად აგრძელებს აქტიურ საგანმანათლებლო მოღვაწეობას. საქართველოში კი, სამწუხაროდ, იგი დავიწყებული ჰყავთ. უკანასკნელი 25 წლის მანძილზე მისი პროგრამით დაწყებითი კლასების არც ერთი პედაგოგი არ გადამზადებულა. თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას ეძებდაო, სწორედ ჩვენზეა ნათქვამი.

ბატონი შალვა ამონაშვილი, როგორც ჰუმანისტი პედაგოგი, მოითხოვს ბავშვებთან განსხვავებულ მიდგომას, ვიდრე ეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სკოლებში იყო მიღებული, სადაც სკოლების უმრავლესობა ავტორიტარული იყო, ბავშვების სულის აღზრდაზე კი არავინ ფიქრობდა. მოსწავლეებს არ ასწავლიდნენ ღიმილს, ადამიანისა და ნებისმიერი ცოცხალი არსების სიყვარულს, პატივისცემას, თანაგრძნობას, მოკლედ რომ ვთქვათ, სიკეთის ქმნას. შალვა ამონაშვილის ჰუმანიზმის პედაგოგიკა კი დაფუძნებულია ბავშვების უსაზღვრო სიყვარულზე, მათი პიროვნების აღიარებასა და დაფასებაზე. მისი აზრით, ამჟამად, ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა საგნის უამრავი მასწავლებელია, მაგრამ მათგან ძალზე ცოტაა აღმზრდელი. დღეს სიტყვა „აღზრდა“ თითქმის მთლიანად განდევნილია სკოლებიდან. *„დღევანდელმა სკოლამ,* – წერს იგი, – *„აღზრდა“ გამოაძევა სკოლიდან და დარჩა მხოლოდ „სწავლება“, რის შედეგადაც ვზრდით მხოლოდ „განათლებულ უზრდელებს“* (ი.ა. კომენსკი).

თავის მრავალრიცხოვან შრომებში ბატონი შალვა საუბრობს მასწავლებლებისა და მშობლების უშუალო მოვალეობაზე – ბავშვისადმი სიყვარულსა და სითბოზე, მისი პიროვნების აღიარებასა და დაფასებაზე. ბავშვის გაზრდა ძალუძს მხოლოდ იმ მასწავლებელს, – გვასწავლის დიდი პედაგოგი, – ვინც თავად იზრდება. მისი აზრით, ბავშვებთან ურთიერთობის ერთადერთი გზა სიყვარული და მეგობრობაა. ის მასწავლებელი გახდება სუკეთესო, რომელიც ცელქ, მოუსვენარ ბავშვს დააყენებს საკუთარ ბილიკზე, შეაყვარებს თავს და მისი ცხოვრების მასწავლებელი, მეგზური გახდება.

თბილისში მის მიერ შექმნილ ექსპერიმენტულ სკოლებში მომავალ 6-წლიან ბავშვებთან მუშაობას, ბატონი შალვა მათი პირადი საქმეებისა და სურათების გაცნობით იწყებდა, პირველ სექტემბერს კი თითოეულ მათგანს ხელის ჩამორთმევითა და მათი სახელის წარმოთქმით ესალმებოდა: „გამარჯობა, ნინო!“, „გამარჯობა, ზაზა!“ და ა.შ. ეს ძალიან ახარებდათ ბავშვებს და პირველსავე შეხვედრისთანავე იხიბლებოდნენ თავიანთი მასწავლებლით. ასე გადიოდა იგი „ბეწვის ხიდზე“ (ი. ჭავჭავაძე).

აკად. შალვა ამონაშვილი იზიარებს ცნობილი პოლონელი პედაგოგისა და პედიატრის იანუშ კორჩაკის აზრს, რომ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს იძულებას, ძალდატანებას. ბავშვს უფლება აქვს, დარჩეს ისეთად, როგორიც არის და პედაგოგი არ უნდა ცდილობდეს მათ გათანაბრებას, „ერთ თარგზე მოჭრას“. მასწავლებელი ყველა ბავშვთან ახლო კონტაქტში უნდა იყოს, კარგად უნდა იცოდეს თითოეული აღსაზრდელის თავისებურებანი, მათი გულებისაკენ მიმავალი გზები, რათა განეწყოს იმ სიმის ხმაზე, რომელიც ყველა ბავშვს საკუთარი აქვს და განსხვავებულად ჟღერს. მიუხედავად იმისა, რომ მათ ბევრი საერთო აქვთ, მაინც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

ავტორიტარული პედაგოგიკის მიმდევარ მასწავლებლებს სურთ, რომ ბავშვები მათზე მორგებულები იყვნენ. ბატონი შალვას აზრით, ისინი კი არ უნდა მოგვერგონ ჩვენ, არამედ ჩვენ უნდა მოვერგოთ მათ. მასწავლებელი ბავშვს უნდა მოექცეს ისე, როგორც თანასწორს, პატივი უნდა სცეს მის უცოდინრობას. მოსწავლეებთან ურთიერთობისას ხშირად უნდა იღიმებოდეს, ეს ძალზე მოსწონთ ბავშვებს. ტყუილად როდი ამბობს დიდი ფრანგი მწერალი და მფრინავი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი: *„ყველაზე მთავარი ხშირად ღიმილია. ღიმილით უხდიან ვალს, ღიმილით აჯილდოებენ, ღიმილით უბრუნებენ სიცოცხლეს, ზოგიერთი ღიმილის გულისათვის თავს გასწირავ“* (სენტ-ეგზიუპერი, „ადამიანთა მიწა“).

ექსპერიმენტის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობის პროცესში შემუშავდა მოსწავლეებთან ურთიერთობის გარკვეული წესები, რომელსაც ყველა იცავდა.

აი, ეს წესები:

- ვიყოთ მუდამ ხალისიანი ბავშვებთან და შევუქმნათ მათ კარგი განწყობილება;
- ჩვენც გვიხაროდეს ის, რაც ბავშვებს უხარიათ;
- ვიყოთ ბავშვების საინტერესო, სერიოზული, მხიარული თანამოსაუბრენი;
- გავუზიაროთ ბავშვებს ჩვენი ბავშვობის მოგონებანი;
- მთელი სერიოზულობით, გულისხმიერებით, თანაგრძნობით მოვეპყრათ თითოეული ბავშვის საზრუნავს;
- ზოგჯერ ბავშვებთან ისეთივე ბავშვად ვიქცეთ, როგორც ისინი არიან;
- ვასწავლოთ ბავშვებს ჭკვიანური ხუმრობა, ვითამაშოთ მათთან ერთად თანასწორი უფლებით;
- გაკვეთილზე, სასწავლო-შემეცნებითი ამოცანების გადაწყვეტისას, ზოგჯერ დავუშვათ „შეცდომები“ და „დავიბნეთ“ კიდეც;
- ვაჩუქოთ ბავშვებს ღიმილი – მათდამი ჩვენი კეთილგანწყობის, ინტიმურობის, ნდობის ნიშანი;
- არასოდეს არ ვეცადოთ ვამხილოთ ბავშვი ამა თუ იმ დანაშაულში, პირიქით, ხაზგასმით გამოვხატოთ იმის იმედი, რომ მას არ შეეძლო ჩაედინა ეს, რომ იგი ასეთი არ არის, რომ ყოველივე ეს... გაუგებრობაა;
- ხშირად ჩავერიოთ ბავშვების საუბარში, როგორც მათი თანატოლი;
- წახალისების საბაბი ბევრად უფრო ხშირად მოვნახოთ, ვიდრე გაკიცხვისა (ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1983, №12, გვ.7).

ეს წესები, რა თქმა უნდა, ვერ ამოწურავს უმცროსკლასელებთან მასწავლებლის მუშაობის მთელ სისტემას, იგი უფრო ფართო და მრავალმხრივია.

ბატონი შალვა ამონაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ არაერთხელ დაიწერა და დღესაც იწერება საქებარი წერილები არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. აი, რას წერს პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იური აზაროვი:

„ყველაფერი საინტერესოა შალვას საქმიანობაში: ის, რომ თავად ასწავლის დაწყებით სკოლაში, ის, რომ ბავშვებთან ერთად ლაშქრობებზე დადის, ის, რომ ბავშვებისთვის სახელმძღვანელოებს წერს, ის, რომ ბავშვებთან ერთად თამაშობს, მაგრამ ყველაზე მთავარი მასში მაინც ის არის, რაც მას მკვლევრად, პროფესიონალად აქცევს, რომ ბავშვები პირდაპირ გარბიან მისკენ, მხრებზე ასხდებიან და იგი ასწრებს ყველას მოფერებას, რაღაცის გამოკითხვას, რჩევა-დარიგების მიცემას“ (Азаров Ю.П. Искусство воспитывать, М., „Просвещение“, 1979, с. 253).

შალვა ამონაშვილი, თავის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში, დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა შორის ურთიერთსიყვარულს, თანამშრომლობასა და პატივისცემას. ბიჭებისაგან იგი მოითხოვდა გოგონებისადმი ჯენტლმენურ დამოკიდებულებას. აი, ამის მაგალითიც:

„ერთ-ერთ დასვენებაზე მასწავლებელმა (საუბარია ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელზე – ნ. ბ.) *სთხოვა მოსწავლე ვაჟებს, კლასში დარჩენილიყვნენ, გოგონები კი დერეფანში გასულიყვნენ. ბიჭებთან ასეთი საუბარი გაიმართა:*

– ხომ არ დაგითვლიათ რამდენი გოგონაა ჩვენს კლასში?

– არა! – უპასუხეს ბიჭებმა.

– ისინი თექვსმეტნი არიან... თქვენ კი ვინა ხართ?

ბავშვებმა არ იციან რა თქვან.

– ჩვენ ბიჭები ვართ! – თქვა ერთმა.

– არა, თქვენ უბრალოდ ბიჭები კი არა, ვაჟკაცები, მამაცი, მომთმენი და ძლიერი ადამიანები ხართ! მიჩვენე შენი კუნთები!

ბიჭი მომუშტულ მარჯვენა ხელს ღუნავს, სახე ეძაბება. მასწავლებელი ინტერესით უსინჯავს კუნთებს.

– ოჰო, მაგარი კუნთები გქონია! – სერიოზულად ამბობს იგი,

– აბა, შენი მიჩვენე!

ასე უსინჯავს იგი კუნთებს ყველა ბიჭს და აღფრთოვანებას გამოხატავს მათი სიძლიერის გამო.

– ხომ გითხარით, ძლიერები ხართ-მეთქი! ძლიერი კი ყოველთვის იცავს სუსტს, ეხმარება მას, უთმობს. მაშ, ვის გაუფრთხილდებით და დაიცავთ კლასში?

– გოგონებს! – პასუხობენ ბიჭები.

– მოდით, დავადგინოთ შემდეგი ვაჟკაცური წესები: არასოდეს ვაწყენინოთ გოგონებს, გავუფრთხილდეთ, დავეხმაროთ მათ! თანახმა ხართ?

შალვა ამონაშვილი — 90

– დიახ!
– კლასში შესვლისა და კლასიდან გასვლისას გზა დაუთმეთ გოგონებს. თანახმა ხართ?
– დიახ!

შემდგომში მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე, ზარის დარეკვის წინ, აფრთხილებდა ბავშვებს:
– ბიჭებო, გახსოვდეთ, რომ თქვენ ვაჟკაცები ხართ!" (შ. ამონაშვილი, ურთიერთობა და აღზრდა, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", 1983, №12, გვ. 8).

ამ საუბრის შემდეგ ბიჭები უფრო ყურადღებიან და გულთბილ დამოკიდებულებას იჩენდნენ გოგონების მიმართ – აცმევდნენ პალტოს, მიჰქონდათ მათი მძიმე ჩანთები, ადგილს უთმობდნენ და სხვა. ანალოგიური საუბარი ჩაუტარა მასწავლებელმა გოგონებსაც.

აკად. შალვა ამონაშვილი ჩვენს ქვეყანაში თანამშროლობის პედაგოგიკის დამფუძნებელია. ზოგიერთი მასწავლებელი ამბობს, – წერს ბატონი შალვა, – მე ჩემი მეთოდი მაქვსო. გააანალიზებ მის „მეთოდს" და აღმოჩნდება, რომ ის, რაც მას საკუთარი ჰგონია, დიდი ხანია ცნობილია და ასჯერ არის გადაღეჭილი. ზოგიერთებს თანამშრომლობის პედაგოგიკა გაუბრალოებულად ესმის. დღეს არ კმარა ბავშვებთან უბრალო კონტაქტი, საჭიროა, გამოაღვიძო მათი მთვლემარე ძალები, ააფორიაქო მათი სული, ასწავლო იძულების, ძალდატანების გარეშე.

მოსწავლეებთან ურთიერთობა დღეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ამაზე მსჯელობენ მასწავლებელთა საერთაშორისო შეხვედრებზე, თათბირებსა და კონფერენციებზე. ამის მიზეზი არის ის, რომ ადრე მოსწავლე, რომელსაც არ სურდა სწავლა ან სწავლის უნარი არ ჰქონდა, კლასში რჩებოდა მეორე ან მესამე წელსაც, ანდა, საერთოდ, თავს ანებებდა სწავლას, ახლა კი ყველა ასეთი მოსწავლე კლასშია და მასწავლებელს ევალება, ასწავლოს მათ ყოველგვარი „განთესვის" გარეშე.

ძნელია მოიძებნოს ბავშვი, რომელსაც არ სურდეს სწავლა, მაგრამ როცა სკოლაში შედის, ზოგიერთი მათგანი გულს იცრუებს სწავლაზე და აკადემიურად ჩამორჩენილთა რიგებში ხვდება. ამაში ბრალი უფრო მეტად მასწავლებელს მიუძღვის, ვიდრე მოსწავლეს, რადგან მან ვერ ასწავლა ბავშვს სწავლა, ფიქრი, აზროვნება, ვერ შეაყვარა წიგნი. ამიტომ, დაწყებით კლასებში, მოსწავლეს სწავლისაკენ კი არ უნდა მოვუწოდოთ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვასწავლოთ სწავლა, რადგან სწავლის სურვილს მხოლოდ სწავლაში წარმატებები ბადებს. სხვა გზა გულგრილობის „კედლის" გასარღვევად არ არსებობს.

აქვე არ უნდა დავივიწყოთ ის ურყევი პედაგოგიური კანონი, რომ სწავლაში წარმატების ცნება შეფარდებითია. ის, რაც ერთისთვის მიღწევად, წარმატებად ითვლება, მეორისთვის შეიძლება წარუმატებლად იქნეს მიჩნეული. ზოგიერთი მოსწავლისთვის წარმატებით სწავლა მხოლოდ „ფრიადზე" სწავლა ითვლება, ზოგისთვის კი „დამაკმაყოფილებელზე" სწავლაც დიდი მიღწევაა. ამიტომ სწავლების პროცესში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებანი. სწორედ ასე და ამგვარად უნდა შევძლოთ მოსწავლეთა სწავლისადმი გულგრილობის „კედლის" გარღვევა და მათ მიერ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება.

ნოდარ ბასილაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ექსპერტის რჩევა

ტექნოლოგიების ინტეგრირება კომპლექსურ დავალებებში

ტექნოლოგიები არ უნდა გახდეს თვითმიზანი, მათი გამოყენებით უნდა გამდიდრდეს და მრავალფეროვანი გახდეს სასწავლო პროცესი...

21-ე საუკუნე მუდმივად ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს საზოგადოებას, განათლების სისტემას, შესაძლებლობების ფართე სპექტრს სთავაზობს პედაგოგს. ჩვენს რეალობაში სწორედ ასეთი გამოწვევაა პროექტი – „ახალი სკოლის მოდელი". მისი ერთ-ერთი მიზანი, სწავლა-სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება და 21-ე საუკუნის ბავშვების კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენებაა. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც სკოლის მოსწავლეებს საკმაოდ კარგად შეუძლიათ თანამედროვე ტექნიკური მიღწევებით სარგებლობა. მათ სჭირდებათ ახალი, მულტიმედიური სამყარო, ინტერნეტ რესურსები, Web 2.0 ინსტრუმენტები თავისი ვიზუალური მასალებით, ვირტუალური ლაბორატორიებით, მუზეუმებით, რაც ზრდის ინტერესს, ეხმარება მათ მასალის დამახსოვრებასა და შემდეგ ცოდნად გარდაქმნაში...

ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საკლასო ოთახში თავისთავად გულისხმობს მათ ინტეგრირებას ნებისმიერ საგანთან. ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, უშუალო კავშირშია მასწავლებლის პროფესიონალიზმთან; სწორედ მან უნდა შეძლოს, მან უნდა მიანიშნოს მოსწავლეს, რა ტექნოლოგიების გამოყენებითაა შესაძლებელი დავალების შესრულება, თამამად შემოიტანოს ინოვაციები სასწავლო პროცესში; დანარჩენს კი მოსწავლე თვითონ გააკეთებს, ეს ხომ ციფრული თაობაა ?! მათ კარგად ხელეწიფებათ ეს საქმე...

რა ტექნოლოგიებს ვთავაზობ მიმდინარე პროცესში (დისტანციური სწავლება) პედაგოგებს კომპლექსური დავალებების მომზადებისას და რა ვებინსტრუმენტები შეიძლება გამოიყენონ მოსწავლეებმა?

უპირველეს ყოვლისა, მაიკროსოფტ ოფის 365-ს ინსტრუმენტები – Online Office, Power Point, Sway, One Note... ამ ინსტრუმენტებზე წვდომა აქვთ საჯარო სკოლების ყველა მასწავლებელსა და მოსწავლეს. შესანიშნავ შედეგს იძლევა გაზიარებულ ფაილებზე მუშაობა – ჩანახატების, დღიურების, პრეზენტაციების შექმნა, რასაც, ხშირ შემთხვევაში, ვთხოვთ მოსწავლეებს კომპლექსური დავალებების ფარგლებში.

კომპლექსური დავალების ნიმუშები და ვებინსტრუმენტები

ნიმუშები, ძირითადად, ისტორიის მიმართულებას მოიცავს, თუმცა აღვნიშნავ, რომ ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია შეთავაზებული ვებინსტრუმენტების გამოყენება თავისი საგნის კომპლექსურ დავალებებში.

კომპლექსური დავალება:

თქვენ უნდა მოაწყოთ ონლაინ მოგზაურობა მადრიდში, დედოფალ სოფიას მუზეუმში, მოინახულოთ პაბლო პიკასოს ცნობილი ტილო (ნახატი) „გერნიკა" და თანამედროვეობასთან კავშირში შექმნათ პრეზენტაცია/პოსტერი, სადაც წარმოაჩენთ მხატვრის და ზოგადად საზოგადოების დამოკიდებულებას ესპანეთის სამოქალაქო ომის მიმართ და ზოგადად ყველა ომის მიმართ.

ვებინსტრუმენტები – Thinglink (Edobe Spark, Glogster, Edpuzzle), რომელიც ინტეგრირებულია Ms Teams-ში და დისტანციური სწავლებისას საკმაოდ ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული. იხილეთ ნიმუში: პიკასოს ნაკვალევზე.

დავალება – კიროს II და მისი დაპყრობები

წარმოიდგინე, რომ ხარ კიროსის სამეფო კარის ისტორიოგრაფოსი, შექმენი ტექსტი (ე.წ. ისტორიული ქრონიკა), რომელშიც უნდა აღწერო, თუ რატომ და როგორ მოახერხა კიროს დიდმა მთელი ძველი აღმოსავლეთის დიდი იმპერიების თავის სახელმწიფოში გაერთიანება და გადმოეცი ძველი აღმოსავლეთის მოკლე ისტორია...

ამ შემთხვევაში, შესანიშნავად შეიძლება იქნეს გამოყენებული ვებინსტრუმენტი – Story Maps. თხრობითი რუკების (Story Maps) საშუალებით შესაძლებელია რუკის, ტექსტისა და მულტიმედიის კომბინირება, რაც ამარტივებს რუკის აღქმასა და ინფორმაციის შთამბეჭდავად გადმოცემას.
ვებინსტრუმენტი – Story Maps Esri
ნიმუში – აქემენიდური ირანი

Story Maps პლატფორმის ინოვაციური მახასიათებელია საგანმანათლებლო ვებსივრცის გადატანა საკლასო ოთახში და მის ფარგლებს გარეთ. მასწავლებელსა და მოსწავლეებს შეუძლიათ პროექტების, თემებისა და იდეების გაზიარება მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ასევე, რა თქმა უნდა, საკლასო ოთახში, სკოლაში. თხრობითი რუკების ინტეგრირება შესაძლებელია ნებისმიერ საგანთან, ეს თვით მასწავლებლის შემოქმედებით უნარსა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

დავალების ნიმუში:

თქვენ უნდა გაეცნოთ პირველი მსოფლიო ომის პროპაგანდისტულ პლაკატებს, ისტორიულ კონტექსტზე დაყრდნობით გაიგოთ და გააანალიზოთ მათი დანიშნულება, გავლენა იმდროინდელ საზოგადოებაზე და შემდეგ, თქვენ თვითონ შექმნათ პროპაგანდისტული პლაკატი/პოსტერი თქვენ მიერ შერჩეული მონაწილე ქვეყნისთვის, თანამედროვეობასთან კავშირში...

მანანა ჯაყელი
„ახალი სკოლის მოდელის" ისტორიის დანერგვის ექსპერტი,
ნიკო მუსხელიშვილის სახელობის თელავის №3 საჯარო სკოლის პედაგოგი

პლაკატებისა და პოსტერების შექმნისათვის, საკმაოდ საინტერესო, მარტივი ვებინსტრუმენტია ინფოგრამი – infogram ონლაინ-ინფოგრაფიკის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც არ მოითხოვს განსაკუთრებულ გამოცდილებას, რათა შეიქმნას საინტერესო ინფოგრაფიკული პოსტერი, პრეზენტაცია ინტერაქტიური ელემენტებით და პროფესიონალური დიზაინით.

ვეიქლეთი (Wakelet) – ინოვაციური საგანმანათლებლო სივრცე

შექმენით თქვენი კოლექცია, ონლაინ გამოფენა, ონლაინ რესურსების საცავი... – ასეთი დავალებებისათვის შესანიშნავი, საინტერესო სივრცეა ვეიქლეთი, რომელიც, ასევე, ინტეგრირებულია Ms Teams-ში და საკმაოდ მოხერხებულია მისი გამოყენება დისტანციური და არა მხოლოდ დისტანციური სწავლების პროცესში.



ვირტუალური გამოფენისა და მუზეუმის შექმნისათვის საკმაოდ საინტერესო და შთამბეჭდავი სივრცეა – artsteps.com
აქვე შემოგთავაზებთ ნიმუშს: ელენე ახვლედიანი

რა შედეგს გვაძლევს ტექნოლოგიების ინტეგრირება კომპლექსურ დავალებებში?

➲ სწავლის პროცესი სახალისოა, აღვივებს მოსწავლის შემოქმედებით უნარს; მოსწავლეს უჩნდება მოტივაცია ისეთი თემის შესწავლისათვის, რომელიც, შესაძლოა, ადრე ნაკლებად აინტერესებდა.

➲ ახდენს დინამიკური მულტისენსორული სასწავლო გამოცდილების ინტეგრაციას ტრადიციულად ტექსტზე ორიენტირებულ საგნებთან. ხელს უწყობს გუნდურ მუშაობასა და თანამშრომლობას თანაკლასელებთან; მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობა პოზიტიური და უშუალოა.

დაბოლოს, დავასრულებ კვლავ ჩემი ეპიგრაფით:
ტექნოლოგიები არ უნდა გახდეს თვითმიზანი, მათი გამოყენებით უნდა გამდიდრდეს და მრავალფეროვანი გახდეს სასწავლო პროცესი...

სახელმწიფო ენა არაქართულენოვან სკოლებში

დმანისი არ არის შორს!

როცა მეცხრე კლასის მოსწავლე ვიყავი, ისტორიის სახელმძღვანელოში ამოვიკითხე ინფორმაცია პირველი ევროპელი ადამიანების შესახებ, რომელთა ნაშთებიც, დაახლოებით, 1.8 მილიონი წლისაა და აღმოაჩინეს 1991 წელს საქართველოში, დმანისში.

„– უჰ, რა შორს ჩემგან!“ – გავიფიქრე და ამ ფიქრში მხოლოდ გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ვიგულისხმე, – მე ზესტაფონში ვცხოვრობდი.

იმ პერიოდში, როცა ექიმის პროფესიის დაუფლება უფრო მსურდა, ვიდრე მასწავლებლისა, არც შემეძლო, მეფიქრა, რომ დმანისში სწორედ პროფესია მიმავლენდა და საკუთარი თვალით მომიწევდა ნახვა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი პირველი ევროპელი ადამიანებისა – მზიასა და ზეზვასი.

ეს იყო 2013 წლის თებერვალში, როცა სამუშაოდ წამოვედი დმანისში.

ახლაც სავსედ მახსოვს ჩემი მაშინდელი განცდები: მიდიხარ უცხო ადგილას, სადაც შენიანი არავინ გელოდება, სხვა ეროვნების ადამიანთა ჭერქვეშ უნდა იცხოვრო, ასწავლო ბავშვებს, რომელთა ენაც არ გესმის, მათ კი – შენი არ იციან.

და ამ დროს შენზე იმდენი რამეა დამოკიდებული...

შენ კი შეიყვარებ, ბოლოს და ბოლოს, ეს შენი პროფესიაა და ამ საქმის საკეთებლად სიყვარულით მოდიხარ, მაგრამ ისინი შეგიყვარებენ? როგორ შეეწყობა ერთმანეთს ორი სხვა ეროვნების წარმომადგენელი, განსხვავებული კულტურული და რელიგიური ნიშნებით?

არ მინდოდა, ამაზე მეფიქრა. გზას დაძაბული გავყურებდი, არ გავცდენოდი შესახვევს იმ სოფლის, სადაც სამუშაოდ გამამწესეს.

ბოლოს გზაც დასრულდა, მასპინძელ ოჯახშიც მივედი და ჩემს ზურგს უკან ჭიშკარი რომ დაიკეტა, ისე უმწეოდ და უსუსურად ვიგრძენი თავი, ტირილი მომინდა.

ახლა აქ იყო ჩემი ოჯახი, ეს ადამიანები იყვნენ ჩემი ოჯახის წევრები და მე მათი ახლობელი ვიყავი, მათი შვილი, მათი და, მათი მასწავლებელი.

მერე გავიდა დმანისურად ცივი, თოვლიანი, სუსხიანი, უკარება დღეები და ძალდაუტანებლად შემაჩვია ჩემს ახალ ცხოვრებას.

თურმე, რისა მეშინოდა!

სიკეთე მხვდებოდა ყველგან: მასპინძელი ოჯახის წევრების, თანამშრომლების, მოსწავლეების, გზად შეხვედრილ სოფლის მკვიდრთა თვალებში. ამ დამოკიდებულებით ბედნიერი სიკეთეზე მეც ორმაგი სიკეთით ვპასუხობდი.

ასე დაიწყო და დამთავრდა ჩემი პირველი სემესტრი სასკოლო გარემოში. იყო სირთულეები, პრობლემებიც მქონდა, ცრემლიანი მონატრებით სავსე დღეც ბევრჯერ დავაღამე, მაგრამ ახალი სამუშაო დღის დასაწყისი, სკოლის შენობასთან მიახლოება, მოსწავლეთა მორიდებით წარმოთქმული „სალამი“, მათი ჩემდამი მოლოდინები ზღვა ენერგიით მავსებდა და ყველა უსიამოვნებას მარტივად მავიწყებდა.

მერე მე მეზობელ სოფელში მომიწია სამუშაოდ გადასვლა.

პირველ ადგილას ჩემმა რამდენიმეთვიანმა ცხოვრებამოღვაწეობამ იმოდენა გამოცდილება შემძინა, რომ ახალ საცხოვრებელ თუ სამუშაო გარემოში თავს უკვე თითქმის შინაურად ვგრძნობდი. აქაც დამხვდურთა კეთილგანწყობა მეხმარებოდა და მაძლევდა სტიმულს.

მოსწავლეები შორიდან, სკოლისკენ გზაზე მიმავალს რომ დამინახავდნენ, ეზოში გამოეფინებოდნენ, უხაროდათ ჩემი დანახვა. იგივე სითბო თვალებში, იგივე მორიდება, ბიჭების მხრიდან ჩვეული ჟესტი – ქუდის მოხდა მისალმებისას. ჩემი საქმიანობა აქაც ძალზე საინტერესოდ დაიწყო და წარიმართა. თითქმის ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, ვხვდებოდით ერთმანეთს და ვმეცადინეობდით, ვიღრმავებდით ცოდნას, რათა უკეთ შეგვძლებოდა კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე. ვმუშაობდი თანამშრომლებთან ერთადაც, მათაც ვეხმარებოდი ქართული ენის შესწავლაში. ვაწყობდით ლაშქრობა-ექსკურსიებს, მოსწავლეებთან ერთად ვგეგმავდი და ვახორციელებდი სასწავლო პროექტებს.

აღნიშნული ტიპის აქტივობები ჩვენთან ახლაც პოპულარულია. პროექტებით სწავლებამ ძალზე გაამართლა და ეფექტურად დამეხმარა მიზნების მიღწევაში. ამ მუშაობაში განსაკუთრებით აქტიურად არიან ჩართულნი VI-IX კლასების მოსწავლეები: ნაილ რამაზანოვი, ქანან კურბანოვი, ალია შარიფოვა, ნერმინ შარიფოვა, ფუნდა სულეიმანოვა, ელჯან შარიფოვი.

მათთან მუშაობა, მათი შემოქმედებითობა და სირთულისადმი ინტერესი ყოველთვის მოტივაციით მავსებს და დადებითი ენერგიით მმუხტავს.

და სიკეთე... სიკეთე...

ამას არაფერი შეედრება!

მახსოვს, საახალწლო ღონისძიებისთვის ვემზადებოდით.

კვირის დღეებში გაკვეთილებსა და დამატებით მეცადინეობებს ვერ ავუდიოდით და დრო არ გვრჩებოდა, ღონისძიების მომზადებაზე რომ გვემუშავა. ამიტომ მოსწავლეები კვირა დღეს დავიბარე სკოლაში. იმ დილით თოვდა და ციოდა. დათქმული დროისთვის სკოლაში წავედი. მივდიოდი და სადღაც გულის გულში ფათურობდა ეჭვი, რომ შესაძლოა, ბავშვები დღეს სკოლაში არც მოსულიყვნენ და მე მარტოს მომიწევდა მისვლა და ლოდინი.

ჩამოვიარე შარაგზაზე. თვალთახედვის არეში სკოლის ეზო მოექცა და გულმა სიხარული ვეღარ დაიტია, როცა ერთ-ერთი საკლასო ოთახის (რომელსაც სარეპეტიციოდ ვიყენებდით) საკვამურიდან ამოსული ბოლი და ეზოში გამოშლილი ბავშვები დავინახე. ჩემზე ადრე მისულიყვნენ, ცეცხლიც დაენთოთ, რომ სითბო დამხვედროდა. ახლა კი იდგნენ და გზას გამოჰყურებდნენ, მელოდნენ. ის ფიქრი აწვალებდათ, რომ ასეთ ამინდში შეიძლება მე თვითონ გადამეფიქრებინა და არ მივსულიყავი.

ასეთი საბედნიერო მომენტი ბევრი მქონია და გამომიცდია. მათზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. ის მომენტები ჩემი არჩეული პროფესიის გამართლებაა, ჩემთვის ფასდაუდებელია და ყოველთვის ბედნიერ მოგონებად შემომრჩება ხსოვნაში.

დასასრულ, მინდა ვთქვა, ადამიანს ნებისმიერ ახალ გარემოში რწმენა აძლიერებს, რწმენა საკუთარი თავის, თავისი საქმის, იმ ადამიანების, ვისთანაც ურთიერთობა აქვს, რწმენა სიკეთის და სიყვარულის. რასაც გავცემთ, იგივე გვიბრუნდება, ბავშვებთან ურთიერთობა კი მართლაც სულს კურნავს. ჩემი მოსწავლეებისთვის მე მარტო მასწავლებელი კი არა, უფროსი მეგობარიც ვარ, რომელიც ასწავლის მათ და სწავლობს მათგან.

სხვაგვარად მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა შეუმდგარია.

დმანისი!

მადლობა პროექტს „არაქართულენოვანი სკოლების პროფესიული მხარდაჭერა“, რომელმაც აქ მომავლინა და დმანისი მასწავლა. ახლა სხვანაირად ძლიერი ვარ.

ახლა ძალზე მიუღებელია ჩემთვის იმ მეცხრეკლასელი გოგოს ფიქრები, დმანისი უსასრულოდ შორს რომ წარმოედგინა.

დამიახლოვდა დმანისი.

ის ახლა ჩემთვის ზესტაფონიდანაც კი თითის ერთ გაწვდენაზეა!

მზევინარ ბაქრაძე
დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ პანტიანის საჯარო სკოლის დამხმარე მასწავლებელი, პროგრამა „არაქართულენოვანი სკოლების პროფესიული მხარდაჭერა“

სამოდელო გაკვეთილი

ԴԱՍԱՊԼԱՆ ԱՆԳԼԵՐԵՆ ԼԵԶՎԻՑ

ნარინე ხეჩოიანი
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის №1 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

1.	Դասի թեման	„CHINESE INVENTIONS“
2.	ՈՒսուցման աստիճանը	Բազային աստիճան 8-րդ դասարան
3.	Դասավանդող ուսուցչուհի	Խեչոյան Նարինե
4.	Դասի տևողությունը	45 րոպե
5.	Աշակերտների պրոֆիլը	5 աշակերտ, հատուկ կրթական կարիք ունեցող աշակերտներ չկան
6.	Դասի նպատակը	Ինքնուրույն աշխատելու հմտությունների զարգացում: Բառաբանական միավորների վերամշակում: Բառապաշարի հարստացում: Տեղեկատվական տեքստի ընթերցանություն: Աշակերտները կարողա-նան հասկանալ և անգլերեն լեզվով կարողանան մեկնաբանել, փոխանցել, թե չինացիները երբ և ինչպես են ստեղծել որոշ անհրաժեշտ իրեր, որոնք հաճախ են օգտագործվում առօրյա կյանքում և տարբեր բնագավառներում: Հասկանան և սովորեն նոր բառեր: Կարողանան ներկայացնել թեմայի հետ կապված տարբեր օրինակներ:
7.	Ազգային ուսումնական պլանի չափորոշիչները	**I օտ.բազ. 4.** Համապատասխան ռազմավարության ընտրություն և օգտագործում տեքստի ըմբռնումից առաջ, ընթացքում և հետո: **I օտ.բազ. 10**. Վերլուծել բանավոր և գրավոր հաղորդակցության մեջ ծագող խնդիրները, մշակել դրանց հաղթահարման գործողությունների ծրագիր (ուսումնառության գործընթացի կառավարում - մետաճանաչողական ռազմավարություն): **I օտ.բազ. 11.** Բացահայտել և իրականացնել միջմշակութային երկխոսությունը խթանելու նախաձեռնություններ, կիսել սոցիալ-մշակութային առանձնահատկությունները: **I օտ.բազ. 12.** Իրականացնել գաղափարներ ՝ օգտագործելով բանավոր և գրավոր հաղորդակցման հմտություններ:
8.	Անհրաժեշտ նախնական գիտելիքները, հմտություններն ու կարողությունները	Աշակերտներն ունեն որոշակի տեղեկատվություն համապատասխան թեմայի վերաբերյալ և կարող են անգլերեն լեզվով խոսել թեմայի շուրջ: ՈՒնակ են թարգմանել տրված տվյալներն անգլերեն:
9.	Գնահատման ընթացակարգերը	✓ Որոշող գնահատում. Գնահատումը կատարվում է ըստ գնահատման ռուբրիկայի: ✓ Զարգացնող գնահատում. Գնահատումը կատարվում է ՝ 1. Մեկնաբանություններով 2. Ելքի տոմսի միջոցով
10.	Ուսուցման նյութեր, տեխնիկական ռեսուրսներ	Անգլերենի դասագիրք, գրատախտակ, կավիճ, տետր, գրիչ, մատիտ, ելքի տոմսի թերթիկներ, ձայնային նվագարկիչ, պաստառներ:
11.	Դասի ընթացքը	✓ Դասի թեմայի և գնահատման ռուբրիկայի ծանուցում՝ 2 րոպե **I Ակտիվություն** ✓ Նախնական գիտելիքների ստուգում (հարց - պատասխան) 1. Which invention do you use the most often? 2. Look at the posters. Which invention do you think is the most useful or the least useful ? Why? 3. What do you know about the Chinese? 4. Who invented silk? 5. Can you name one item that the Chinese invented? 10 րոպե **II Ակտիվություն** ✓ Նոր նյութի բովանդակության ներկայացում (հակիրճ դասախոսություն) 7 րոպե **III Ակտիվություն** ✓ Բաշխել դասագրքի տեքստը և տալ աշակերտներին ինքնուրույն կարդալու, որից նրանք դուրս կգրեն անծանոթ բառերը բառարաններում: Այդ բառերը պարզեցված և բացատրված գրել գրատախտակին: 10 րոպե **VI Ակտիվություն** ✓ Աշակերտները լսողական սարքով լսեն վարժությունը և դասագրքում կատարեն համապատասխան առաջադրանքը՝ էջ. 96, վարժ. 2-3 8 րոպե **V Ակտիվություն** ✓ Ամփոփել դասը ըստ գնահատման ռուբրիկայի և ելքի տոմսի: ✓ Աշակերտներին տալ տնային առաջադրանքներ. 1. Մեկնաբանել և փոխանցել նոր նյութը պատմելու միջոցով: 2. Համապատասխան առաջադրանքը կատա-րել աշխատանքային գրքում ՝ էջ. 88, վարժ. 1 և 3 8 րոպե

ԵԼՔԻ ՏՈՄՍ
1. Ի՞նչ գիտեիր ....
2. Ի՞նչ սովորեցիր........
3. Ինչի՞ մասին կուզես իմանալ ....

ԳՆԱՀԱՏՄԱՆ ՌՈՒԲՐԻԿԱ

Միավորները և չափորոշիչները	9-10	7-8	4-5-6	3-2-1
Ակտիվ մասնակցություն	Միշտ մասնակցում և հաճախ նույնիսկ ղեկավարում է դասարանային քննարկումները	Միշտ մասնակցում է	Հաճախ է մասնակցում	Հազվադեպ կամ ընդհանրապես ներգրավված չէ
Սահուն և ճիշտ խոսք	Սահուն խոսում է, ունի հարուստ բառապաշար և ստեղծագործական ունակություններ, օգտագործում է լեզվական արտահայտման միջոցներ	Խոսում է սահուն և օգտագործում է ճիշտ շարահյուսական և քերականական կառուցվածքներ	Տիրապետում է ուղղագրության տարրական կանոններին: Քիչ թե շատ սահուն է խոսում:	Չի հետևում և չի տիրապետում ուղղագրության տարրական կանոններին:
Սեփական կարծիքի հիմնավորում և ներկայացում	Միշտ համոզիչ ու փաստարկված ներկայացնում է իր կարծիքը	Գրեթե միշտ հիմնավորում է իր սեփական կարծիքը	Հազվադեպ է հաջողվում հիմնավորել սեփական կարծիքը	Դժվարանում է ճիշտ խոսել, հաճախ անկարող է հիմնավորել սեփական կարծիքը

სასკოლო აქტივობა

არაფორმალური განათლების როლი მოზარდის ცხოვრებაში

ნანა ვერულაშვილი
ხელოვნებათმცოდნე, თბილისის №51 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი

სკოლის გარეთ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების მდგომარეობის შესწავლა მნიშვნელოვანი და დროული საკითხია. ცნება „არაფორმალური განათლება“ ქართულ კანონმდებლობაში, 2005-2007 წლებში, განათლების სისტემაში გატარებული რეფორმების შემდგომ გაჩნდა. სხვადასხვა კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ უმეტესი წილი, ფორმალური განათლების პარალელურად, სწორედ არაფორმალური გზით მიღებულ განათლებაზე მოდის. შესაბამისად, მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი თანხმდება იმაზე, რომ მოსწავლისთვის, ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს კარიერულ წინსვლასა და ინტერესების უკეთ წარმოჩენაში.

თუ ფორმალურ განათლებაში პროგრამა წინასწარაა განსაზღვრული, არაფორმალური განათლება მთლიანად ინდივიდის მოთხოვნებზეა აგებული და მოსწავლეს აძლევს საშუალებას, მკვეთრად გამოავლინოს შინაგანი შესაძლებლობები, იმავდროულად, კავშირშია პროფესიულ განათლებასთან, რაც მოსწავლეს ეხმარება კარიერის დაგეგმვაში, მნიშვნელოვანი რგოლია განათლებასა და შრომის ბაზარს შორის.

არაფორმალური განათლება მოსწავლეში ხელს უწყობს ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებას, რაც მოსწავლეს განუვითარებს შემდეგ უნარებს: ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სოციალური და თანამშრომლობითი, სისტემური აზროვნების. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკულ გამოცდილებასაც იძენს.

არაფორმალურად მიღებული განათლება მოიცავს არაფორმალური სივრცის არსებობას. სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს არაფორმალური სივრცის შექმნა, სადაც მოსწავლეებისთვის სახელოვნებო გარემო იქნება. მსგავს გარემოს ქმნის სასკოლო კლუბები.

ვინაიდან სკოლა ადრეულ ასაკშივე უნდა უყალიბებდეს მოსწავლეს პროფესიული/სახელოვნებო განათლების მიმართ ინტერესს, ის უნდა გახდეს უფრო საინტერესო და თანამედროვე. ამ მიზანს კი მოემსახურება თავისუფალი გაკვეთილები, განახლებული სასწავლო პროგრამები.

დაახლოებით 10 წელია ვმუშაობ მოზარდებთან. მათთან ერთად ვახორციელებ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებს. ყველა დაგეგმილმა აქტივობამ აჩვენა, რომ არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში მაღალი აკადემიური მოსწრების და დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები თანაბარი ინტერესით ერთვებიან.

თუ აკადემიური მოსწრების მოსწავლე მიიჩნევს, რომ მისთვის სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობა საინტერესოა, ამავე დროს, აცნობიერებს, რომ მისი ჩართულობით დაგეგმილი ღონისძიებაც პროდუქტიული იქნება. დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლისთვის კი მსგავსი შეთავაზება წარმატების საწინდარია. მოსწავლე იძენს თვითდაჯერებულობის უნარს და მეტად მოტივირებული ხდება.

პირისპირ და დისტანციური სწავლების დროს, მოზარდ საზოგადოებას მეტი შემოქმედებით-საგანმანათლებლო აქტივობები სჭირდება, რათა მათი ინტერესები სწორად წარიმართოს.

არაფორმალური განათლების მიმართულებით, სკოლაში დავგეგმე მოსწავლეთა შემოქმედებითი ხელოვნების ფესტივალი, სახელწოდებით – „მე შემოქმედი“. ფესტივალის მიზანი იყო, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს, კლასების მიხედვით, შეექმნათ ხელოვნების სხვადასხვა დარგების ნიმუშები. ფესტივალმა ისეთი დარგები გააერთიანა, როგორიცაა: სახვითი ხელოვნება, გამოყენებითი ხელოვნება, ლიტერატურა, კინოხელოვნება. გაიმართა ონლაინ გამოფენები, მასტერკლასები, შეხვედრები, სადაც მოსწავლეებმა მშობლებს და მოწვეულ სტუმრებს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრები გააცნეს. ფესტივალმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში ერთმანეთზე ზრუნვისა და თანაგრძნობის გამოხატვას, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენას და გაძლიერებას.

ხელოვნების ფესტივალი „მე შემოქმედი“ დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები. ფესტივალის თემები და მიმართულება კლასების მიხედვით დაიყო.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კალიგრაფიის კონკურსში, აქტივობაში – „მიწერე ბარათი მეგობარს“; გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით განხორციელებული აქტივობისას კი შექმნეს ხელნაკეთი სათამაშოები.

V კლასის მოსწავლეებისთვის დაიგეგმა აქტივობები კინოხელოვნების მიმართულებით. მათ გადაიღეს ფილმები მეგობრობაზე, გაეცნენ კინოხელოვნების ისტორიას, სინემატოგრაფიიდან კინოხელოვნებამდე.

VI კლასის მოსწავლეებისთვის კი ჩატარდა მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენცია, სახელწოდებით – „ხელოვნებაა თავად უკვდავება“. კონფერენციაზე წარმოდგენილი თემის პირობა იყო – ეპასუხა კონფერენციის სახელწოდებისთვის.

თავდაპირველად, ვშიშობდი რამდენად გაამართლებდა დისტანციურად დაგეგმილი ღონისძიებები. ერთი წლის ანგარიშმა აჩვენა, რომ ყველა იმ აქტივობის, ღონისძიების თუ პროექტის განხორციელების მიზანი იყო ერთმანეთზე ზრუნვისა და თანაგრძნობის გამოხატვა, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გაძლიერება-გამოვლენა. ბავშვები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ყველა შეთავაზებას, ინაწილებდნენ ორგანიზატორის როლს.

პანდემიის პერიოდმა ცხადყო და უფრო მეტად გაამყარა მოსაზრება, რომ არაფორმალური განათლების მიღებით მოსწავლეს ეხსნება გზა წარმატებისკენ.

უცხოური ამბები

ესტონური მოდელი: ევროპაში საუკეთესო საგანმანათლებლო სისტემის საიდუმლო ციფრული ინოვაციები და თავისუფალი მასწავლებლები

ესტონელი მოსწავლეები იდეალურ გარემოში იზრდებიან ხელისუფლების შორსმჭვრეტელობისა და დიდი ინვესტიციების წყალობით. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა ბაძავს ამ მოდელს.

ხშირად ამბობენ, რომ სწავლება ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა. ამ მხრივ ევროპაში ერთ-ერთი მისაბაძი მაგალითი ესტონეთია. ეს პატარა ბალტიური რესპუბლიკა ნამდვილად არ არის მდიდარი ქვეყანა, ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავალი 14.000 დოლარია. ვერც იმას ვიტყვით, რომ აქ ეკონომიკის სწრაფი ზრდის ტენდენციაა, თუმცა, ევროკავშირის ქვეყნებს შორის, ესტონეთი იმით გამოირჩევა, რომ ეკონომიკის ზრდისას განათლებას დიდ როლს ანიჭებს. ეს მეხუთე ევროპული ქვეყანაა განათლებაში ინვესტიციების მხრივ დანიის, შვედეთის, ბელგიისა და ფინეთის შემდეგ და ერთადერთი განვითარებადი ეკონომიკა, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტის 6% განათლებაშია ჩადებული.

❖ ❖ ❖

ესტონეთში, 3 წლის ასაკიდან, თითქმის ყველა ბავშვი საბავშვო ბაღში დადის. საბავშვო ბაღი არ არის მხოლოდ ბავშვის მოვლისთვის განკუთვნილი დაწესებულება. თავიდან ბავშვებს თამაშის საშუალებით აწვდიან გარკვეულ ინფორმაციას, სკოლის წინა წელს კი ასწავლიან ასოებს, თვლას, აძლევენ ელემენტარულ ინფორმაციას ხელოვნებაზე, ბუნებისმეტყველებაზე, ისტორიაზე.

ესტონელებს მიაჩნიათ, რომ განათლება ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ასწავლო სახალისოდ. საბავშვო ბაღში ბავშვები სწავლობენ მასწავლებლის მიერ წარმართული თამაშით და თანდათანობით ეჩვევიან აკადემიურად წარდგენილი მასალის ათვისებას. სკოლის პირველ კლასში მისულმა ბავშვებმა წერა-კითხვა უკვე იციან. გარდა ამისა, სკოლამდელ ჯგუფებში ქცევის ელემენტარულ წესებს – ხელის აწევას, კითხვის დასმას ასწავლიან. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალიზაციას.

სკოლაში შესვლისთვის 7 წლის ასაკია დაწესებული, რათა ყველა მზად იყოს სწავლისთვის – ემოციურადაც და ფიზიკურადაც. საბავშვო ბაღში სასკოლოდ გამზადებულ ბავშვს აძლევენ ბარათს, სადაც აღწერილია მისი უნარ-ჩვევები, განვითარების დონე და რეკომენდაციები.

საბავშვო ბაღები ფასიანია. თანხის 50%-ს სახელმწიფო იხდის, დანარჩენს – მშობლები, თუმცა ინდივიდუალური საფასური დამოკიდებულია ოჯახის შემოსავალზე – ის არ უნდა აღემატებოდეს მშობლის ხელფასის 20%-ს.

❖ ❖ ❖

I-IX კლასების განათლება სავალდებულოა. ეს პერიოდი 4 ნაწილად იყოფა: I-III, IV-VI, VII-IX და X-XII კლასები. 9 კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლე იღებს სერტიფიკატს ნიშნების ფურცლით. ამის შემდეგ შეუძლია, აირჩიოს – სკოლაში, აკადემიურ კლასში და შემდგომ უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელოს სწავლა თუ პროფესიული განათლება და, სკოლის დამთავრების შემდეგ, დასაქმება არჩიოს.

ესტონეთს შეუძლია იამაყოს მსოფლიოში განათლების ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური მეთოდით, კერძოდ, 2012 წელს ამუშავებული პროექტით, სახელად – ProgeTiger. ამ პროექტზე დაფუძნებით, სასკოლო განათლება სავალდებულოა და აქ დიდი ადგილი უკავია ციფრულ ტექნოლოგიებს – ასწავლიან კომპიუტერული პროგრამირების საფუძვლებს „პრაქტიკული აქტივობებით და ასაკის შესაფერისი პროგრამული ენით“. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ვიდეომასალა ინტერნეტიდან. სკოლებში აქვთ ელექტრონული სისტემები, საშინაო დავალებებიც უმეტესად ელექტრონულად სრულდება. დღიურები ელექტრონულია. მშობლებსა და პედაგოგებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით სირთულეს აღარ უქმნის ყველაზე დაკავებულ მშობლებსაც კი.

❖ ❖ ❖

ესტონეთში ბევრს მიაჩნია, რომ წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მასწავლებლის თავისუფლებაა. სკოლებს მაქსიმალური ავტონომია აქვთ. მასწავლებელი კი თავად იღებს გადაწყვეტილებებს სასწავლო პროცესის წარმართვის თაობაზე, დამოუკიდებლად ადგენს სილაბუსებს. ამგვარი მიდგომის ეფექტურობა რეიტინგებშიც აისახა.

ეს არის ქვეყანა, სადაც მსოფლიოში ყველაზე სწრაფად იზრდება მასწავლებლების ხელფასი (საშუალო ხელფასი, 5 წელიწადში, 50%-ით გაიზარდა – 810 ევროდან 1210 ევრომდე), რამაც ეს პროფესია მიმზიდველი გახადა ბევრი ადამიანისთვის, და უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის წარმატება აქ ყველაზე ნაკლებადაა დამოკიდებული მშობლების სიმდიდრეზე. საჯარო სკოლები უფასოა, რაც ნიშნავს, რომ უფასოა სახელმძღვანელოებიც და ტრანსპორტიც.

❖ ❖ ❖

ეკონომიკის განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OESD) სტატისტიკის თანახმად, PISA-ს (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა) შედეგების მიხედვით, ესტონელი მოსწავლეები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ევროპაში პირველ და მსოფლიოში მესამე ადგილს იკავებენ, სინგაპურისა და იაპონიის შემდეგ, მათემატიკურ მეცნიერებებში – ევროპაში პირველ (შვეიცარიასთან ერთად) და მსოფლიოში მეცხრე ადგილს; გარდა ამისა, ფუნქციურ წიგნიერებაში ესტონელებს ევროპაში მესამე ადგილი უკავიათ, ფინელებისა და ირლანდიელების შემდეგ, მსოფლიოში კი – მეექვსე ადგილი. OESD-ს თანახმად, ესტონეთში ასევე იზრდება უცხოელი სტუდენტების რიცხვი. 10 წლის წინ აქ 400 უცხოელი სტუდენტი სწავლობდა, დღეს კი მათი რიცხვი 4.000-ს აღწევს.

ნინო ქაჯაია

მომზადებულია ინტერნეტ გამოცემების – Morning Future და BBC News – მასალების მიხედვით

Info

www.akhaliganatleba.ge

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2021

სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის წესი

როგორ გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე?

ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირს **(პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირს, ასევე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე მინიჭებული აქვს პირადი ნომერი)**.

მთავრობის დადგენილების შესაბამისად, 2021 წელსაც გაიცემა 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი სასწავლო გრანტები.

სწავლების ერთ საფეხურზე სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა მხოლოდ ერთხელ.

➢ **სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესაძლებლობა აქვს იმ აბიტურიენტსაც, რომელმაც წინა წლებში მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება და სახელმწიფო სასწავლო გრანტი აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ არ ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. თუ ჩაირიცხა, გრანტი გამოყენებულად ეთვლება.**

➢ **ორი ან მეტი არჩევითი საგნის არჩევისას ერთ-ერთ მათგანში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის (ჩაჭრის) ან გამოცდაზე არგამოცხადების შემთხვევაში, აბიტურიენტი შეინარჩუნებს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღების შესაძლებლობას.**

უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ სასწავლო გრანტისთვის გამოყოფილი თანხის წლიური მოცულობის არა უმეტეს 2%-ისა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სპეციალური სახელმწიფო პროგრამით, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე ან ნაცვალგების პრინციპით.

სახელმწიფო სასწავლო გრანტი არ გაიცემა:

➡ **უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე;**

➡ **ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებზე, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდაზე რეგისტრაციას გაივლიან, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ან ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩატარების 2021 წლის 1 აგვისტომდე განაცხადებენ, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღება სურთ, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეს და ცენტრში წარადგენენ შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტებს; იმ პირებზე, რომლებიც არააკრედიტებულ პროგრამებზე მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას;**

➡ **იმ პირებზე, რომლებსაც სახელმწიფო სასწავლო გრანტი ერთხელ მიღებული და გამოყენებული აქვთ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე/ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.**

აკადემიურ პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების წესი:

აბიტურიენტი აკადემიურ პროგრამებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტს მოიპოვებს სამი საგნის შედეგების გათვალისწინებით – ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენის და მათემატიკის/ისტორიის გამოცდებში მიღებული აბსოლუტური ქულის მიხედვით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აბსოლუტური ქულით რანჟირების სიის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკადემიური პროგრამისთვის გამოყოფილი გრანტის წლიური მოცულობის ფარგლებში.

თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის 4 საგნის ჩაბარებაა სავალდებულო, ვინაიდან უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დამატებითი საგანი დააწესა, აბიტურიენტი ორ საგრანტო კონკურსში მიიღებს მონაწილეობას – აბიტურიენტს უფლება აქვს გრანტი მოიპოვოს როგორც ზემოაღნიშნულ სამ საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა და ისტორია/მათემატიკა) მოპოვებული აბსოლუტური ქულის, ისე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხოურ ენასა და დამატებით საგანში მოპოვებული აბსოლუტური ქულის შესაბამისად.

აბიტურიენტი ორ საგრანტო კონკურსში იღებს მონაწილეობას იმ შემთხვევაშიც, თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად სამი სავალდებულო საგანია განსაზღვრული, თუმცა მესამე სავალდებულო საგნად განსაზღვრულია როგორც მათემატიკა, ისე ისტორია და აბიტურიენტი აბარებს ორივეს.

➢ იგივე წესი მოქმედებს **სამედიცინო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების** (დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საექთნო საქმის, სამეანო საქმის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, ოკუპაციური თერაპიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამების) შემთხვევაში, სადაც ასევე 4 საგნის ჩაბარებაა სავალდებულო. ამ პროგრამებზე აბსოლუტური ქულა გამოითვლება:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენის და ბიოლოგიის შედეგების გათვალისწინებით;

2. ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენის და ფიზიკის/ქიმიის/მათემატიკის (იმის შესაბამისად, თუ რომელი გამოცდა აქვს ჩაბარებული აბიტურიენტს) შედეგების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე ოთხი საგნის ჩაბარებაა სავალდებულო, დაფინანსების საკითხის გადაწყვეტისთვის, აბსოლუტური ქულებით რანჟირება ხდება იმ საგნის გამოცდის შედეგის მიხედვით, რომლის საფუძველზეც აბიტურიენტი მოიპოვებს პროგრამისათვის გრანტის მეტ ოდენობას. თუ ამ საგნების გამოცდებში მიღებული ქულების მიხედვით აბიტურიენტი მოიპოვებს პროგრამისთვის გრანტის ერთსა და იმავე ოდენობას, აბსოლუტური ქულებით რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება აბიტურიენტის მიერ მოპოვებული ქულა იმ საგანში, რომელზეც შესაბამის წელს მეტი თანხა გადანაწილდება. საგნებზე თანხის თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში, აბსოლუტური ქულებით რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება საგნების რიგითობა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

➢ **სახელოვნებო-შემოქმედებით ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე** სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნით აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა და მათემატიკა ან ისტორია. თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ დააწესებს დამატებით გამოცდას (მათემატიკა/ისტორია), აბიტურიენტი უფლებამოსილია სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნებისათვის ჩააბაროს ერთ-ერთი მათგანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

➢ **აკადემიურ პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებისა და აბიტურიენტის აბსოლუტური ქულის გამოთვლის მიზნით ერთიანი ეროვნული გამოცდების თითოეულ საგანს ენიჭება წონა. საგამოცდო საგნის წონა ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხოური ენის საგნებში არის 1, ხოლო ყველა სხვა საგამოცდო საგანში – 1.5.**

მაგალითად: თუ აბიტურიენტმა მიიღო ქართულ ენასა და ლიტერატურაში 169,1, უცხოურ ენაში – 164,8 და მათემატიკაში – 164,0 ქულა, მისი აბსოლუტური (საგრანტო) ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: 169,1 + 164,8 + (164,0X1.5) = 579,9. მიღებული ჯამი მრავლდება 10-ზე, ანუ აბსოლუტური საგრანტო ქულა იქნება 579,9X10= 5799,0.

აბიტურიენტის აბსოლუტური ქულა გამოითვლება შემდეგი წესის დაცვით:

ა) აბიტურიენტის მიერ თითოეული საგნის საგამოცდო ტესტში მიღებული ქულა, ტესტის ფსიქომეტრული პარამეტრების მიხედვით, განთავსდება ერთ საერთო სტანდარტულ სკალაზე და მიიღება საგნის სკალირებული ქულა;

ბ) აბიტურიენტის მიერ მიღებული სკალირებული ქულა მრავლდება შესაბამის საგამოცდო საგნის წონაზე და მიიღება კონკრეტული ქულა;

გ) აბიტურიენტის კონკრეტული ქულების შეკრებით მიიღება აბსოლუტური ქულა.

აბიტურიენტი, მისი აბსოლუტური ქულის შესაბამისად, სახელმწიფო სასწავლო გრანტს იღებს მის მიერ ჩაბარებული საგამოცდო საგნისთვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის მიერ აკადემიური პროგრამისათვის დადგენილი გრანტის წლიური მოცულობა ნაწილდება შემდეგი საგნებისათვის:

ა.ა) მათემატიკა;

ა.ბ) ბიოლოგია;

ა.გ) ქიმია;

ა.დ) ფიზიკა;

ა.ე) ზოგადი უნარები; ა.ვ) ისტორია;

ა.ზ) გეოგრაფია;

ა.თ) ლიტერატურა;

ა.ი) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;

ა.კ) სამოქალაქო განათლება.

მათემატიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკისა და ზოგად უნარების საგნებისათვის განსაზღვრულია პრიორიტეტული წონა – 1.4, ხოლო დანარჩენი საგნებისათვის – პრიორიტეტული წონა – 1.

საქართველოს მთავრობის მიერ აკადემიური პროგრამისათვის დადგენილი გრანტის წლიური მოცულობის 5% თანაბრად ნაწილდება თითოეულ საგანზე, ხოლო 95% პროპორციულად ნაწილდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ზემოაღნიშნული საგნებისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობის შესაბამისად, საგნებისათვის მინიჭებული პრიორიტეტული წონის გათვალისწინებით. ამ მიზნით გამოითვლება თითოეული საგნისათვის გამოცხადებული აწონილი ადგილების რაოდენობა, რისთვისაც თითოეული საგნისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მრავლდება შესაბამის წონაზე, შემდეგ კი აკადემიური პროგრამებისათვის დადგენილი გრანტის წლიური მოცულობის 95% საგნებზე გადანაწილდება თითოეული საგნისათვის გამოცხადებული აწონილი ადგილების პროპორციულად.

როგორ გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე?

სახელმწიფო დაფინანსება (100%-ის ოდენობით) გაიცემა სპეციალურად ამ საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში, ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტის, ან აფხაზური ენის ან ოსური ენის გამოცდის შედეგის საფუძველზე. რეიტინგული სია, გამოცდის ენის მიხედვით, ზოგადი უნარების/აფხაზური ენის/ოსური ენის შედეგის საფუძველზე შედგება (მაგ.: მათთვის, ვინც ჩააბარა ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი, შედგება ცალკე რეიტინგული სია. ანალოგიურად შედგება სია მათთვის, ვინც ჩააბარა ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი და ცალცალკე მათთვის, ვინც ჩააბარა აფხაზური ან ოსური ენები).

სად და როდის გაივლიან აბიტურიენტები სახელოვნებო/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ კონკურსს?

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე ჩაატარებენ კონკურსს (შემოქმედებით და სასპორტო ტურებს) და შესაბამისი ქულებით შეაფასებენ აბიტურიენტებს. ამ ინფორმაციას დადგენილ ვადაში მიაწვდიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს. კონკურსის სახელწოდებებსა და ინფორმაციას მათი ჩატარების ვადებისა და პროცედურების შესახებ გამოაქვეყნებენ თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

როგორ უნდა მოიქცეს აბიტურიენტი, თუ მიაჩნია, რომ გამოცდის მიმდინარეობისას მის მიმართ დაირღვა დადგენილი წესები ან ტესტირების პროცედურები?

ასეთ შემთხვევაში აბიტურიენტმა გამოცდის დღის 21:00 საათამდე განცხადებით უნდა მიმართოს (ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე განაცხადი) იმ საგამოცდო ცენტრის ადმინისტრაციას, სადაც ჩააბარა გამოცდა. განცხადება საპრეტენზიო კომისიას გადაეცემა არაუგვიანეს მომდევნო დღისა და განიხილება განაცხადის მიღებიდან ხუთი დღის ვადაში. პასუხს განმცხადებელი გადაწყვეტილების მიღებიდან ორი დღის ვადაში შეიტყობს.

„საერთაშორისო საფოსტო კავშირის“ (Universal Postal Union) „წერილის წერის საერთაშორისო კონკურსს“ საქართველოში საქართველოს ფოსტა ჩაატარებს

საქართველოში, „საერთაშორისო საფოსტო კავშირის" (Universal Postal Union) „წერილის წერის საერთაშორისო კონკურსი", მიმდინარე წელს, მერვედ გაიმართება. მის ორგანიზებას საქართველოში ახორციელებს „საქართველოს ფოსტა".

წელს „საერთაშორისო საფოსტო კავშირის" (Universal Postal Union) „წერილის წერის საერთაშორისო კონკურსი" 50 წლის იუბილეს აღნიშნავს. აღნიშნულ კონკურსში, მსოფლიო მასშტაბით, ყოველწლიურად, საშუალოდ, 1,2 მილიონი ბავშვი მონაწილეობს.

2021 წლის საკონკურსო თემაა „მისწერე წერილი შენი ოჯახის წევრს შენი გამოცდილების შესახებ კოვიდ 19 პანდემიასთან დაკავშირებით". კონკურსის მიზანია წერილის წერის ტრადიციის აღდგენა, დამკვიდრება და წერილობითი ურთიერთობის პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში წერილობითი ურთიერთობის შენარჩუნება.

საუკეთესო სამეულს ჟიური დააჯილდოებს, პირველი ადგილის მფლობელის ნაშრომი კი „მსოფლიო საფოსტო კავშირში" გაიგზავნება და ჩაერთვება საერთაშორისო საკონკურსო პროგრამაში. ყველა მონაწილეს გადაეცემა სიგელი და საჩუქარი.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 15 წლამდე ასაკის მოზარდებს. ნაშრომში აუცილებელია წერილის ფორმის დაცვა შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- წერილი უნდა იწყებოდეს მისალმებით;
- მითითებული უნდა იყოს როგორც გამგზავნის, ასევე მიმღების (ადრესატის) მონაცემები;
- წერილის ბოლოს დატანილი უნდა იქნას გამგზავნის ხელმოწერა და თარიღი;
- წერილის შინაარსი სრულად უნდა პასუხობდეს კონკურსის თემატიკას;
- კონკურსში მონაწილეობამდე ნაშრომი არ უნდა იყოს გამოყენებული, გამოქვეყნებული ან ტირაჟირებული;
- სიტყვათა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ერთეულს.

წერილი შესაძლოა შესრულებული იყოს ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ, პორტუგალიურ, რუსულ, ესპანურ ან არაბულ ენაზე. ნაშრომის წარდგენა შესაძლებელია მიმდინარე წლის 1 მარტიდან 2021 წლის 4 აპრილის ჩათვლით (17:00 საათი). საკონკურსო წესებისა და პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ ბმულზე – gpost.ge, დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ – letter@gpost.ge.



„წერილის წერის საერთაშორისო კონკურსს“ საფუძველი ჩაეყარა „მსოფლიო საფოსტო კავშირის“ ტოკიოს კონგრესზე და 1971 წლიდან სისტემატურად იმართება, მასში მსოფლიო საფოსტო კავშირის 192 წევრი ქვეყანა მონაწილეობს.

5 ლარი
12 ლარი
10 ლარი
9 ლარი

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

სიახლე 1 მარტიდან

მასწავლებლის გამოცდებისთვის ფასი — 17 ლარი

წიგნში თავმოყრილია I-IV კლასების მასწავლებელთა კომბინირებული საგამოცდო მასალა, კითხვა-პასუხის და ტესტების სახით

ფასი — 27 ლარი

ტექსტის გააზრება

15 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებითში — 6.50 ლარი
ქართული (I-VI) მასწავლებელთა გამოცდებისთვის — 11 ლარი
პროფესიული უნარები თეორიული მასალა — 15 ლარი
პროფესიული უნარები ტესტები — 15 ლარი

წიგნის თარო

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული

წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა
თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ახალი განათლება

რედაქტორი:
ლალი ჯელაძე

შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
მისამართი: აკაკი წერეთლის გამზ. №126, თბილისი 0119
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
იბეჭდება სტამბა „კოლორში“ კოლორ ჯგუფი მისამართი ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის №3
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
ფასი – 2 ლარი